

F 49
1919




ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 9.

წელიწადი
პირველი
თბილისი
1919 წ.
კვირა 2 თებერვ.

Handwritten notes: 117014, 415778



ყოველ-კვირეული უცრნალი „რესპუბლიკის ჯარი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კოეზული სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილებით)

ამიერიდან გამოდის გადიდებული ფორმატით და განახლებული რედაქციით. უცრნალი მთელი წლით ეღირება 80 მ., ნახევარი წლით 45 მ., თვიურათ 8 მ., ცალკე ნომერი 2 მ.

უცრნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალო-უბნის) ქ. ოფიციალური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, — უცრნალ „რესპუბლიკის-ჯარისთვის“. უცრნალის „რესპუბლიკის-ჯარის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლოპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. უცრნალის კანტორა ღიაა — 10—3 საათამდე.

შინაარსი:

- | | |
|--|---|
| 1) მოწინავე | 6) ძველი საქართველოს დამოკიდებულობა ინგლის-საფრანგეთთან პოლ. იოსხავა. |
| 2) ზღვაოსნობის საკითხი გ. ჩ. | 7) ბრაზილია. |
| 3) მებრძოლებს პოლკ. ნ. გ. ივანოვი. | 8) გენერალ ვიორგი ამირეჯიბი ნეკრ. |
| 4) ოფიცერთა საკითხი ი — ძე. | 9) მენდელსონი ა. პართესაშვილი. |
| 5) სანაინის ფრაგტი სანიტარულის მხრით ექიმი ანვლედიანი. | 10) შენიშვნები დეკ. ტ. ივანიცკი. |
| | 11) ქრონიკა. |

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისთვის

უ უ რ ნ ა ლ ზ ე

„კავკასიის ქალაქი“

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო.

ორ-კვირეული გამოცემა მუნიციპალური საკითხების შესახებ.

ჟურნალი გამოდის ქართულ-რუსული განყოფ.

ჟურნალი ღირს: ერთი წლით 36 მან., ნახევარი წლით 18 მან. 50 კ.,

სამი თვით—10 მან., ცალკე ნომერი—3 მან

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისი, სომხის ბაზარი № 5. ტელეფონი 7—31.

ჩვენს ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი პირნი:

არსენიძე მ., აზატიანი გ., არლუტინსკი გ., ალიბეგოვი გ., ბურჯანაძე ვ., ბროდსკი ბ., ბრიტნევი ა., პეყანოვი, ვირსალაძე ს., ვიკნ, გომართელი ი., გვეშტეინი დ., გამალეი, დერკიოვსკისა კ., ელიაფა ნ., ესენი ა., ირემაშვილი ი., იანოვიჩი, იშკოვი, კანდელიაკი კ., კაკალავიშვილი პ., კონიევი გ., კლეინი ვ., კნაპპი, კალიუჯნი, მამრაძე გ., მადდისონი, მარგველაშვილი ტ., ნანეიშვილი გ., რაზუმოვსკი ვ., რობაქიძე ს., რუხაძე, რიზანოვი პ., რიჩგორსკი-სავეიჩი, ქაქუთაძე პ., თოფურიძე დ., თუმანოვი გ., ონიაშვილა დ., სალაყაია ი., სვანიძე ა., საყვარელიძე პ., საბახტარაშვილი კ., სულიაშვილი დ., სმირნოვი მ., შენგელაია-ქიაჩელი, შარაშენიძე ვ., ლლონტი თ., ჯაჯანაშვილი ა., ტრეიმაზნი, ტრივუსი, ფენხერი ფ., ჩერქეზიშვილი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1919 ГОДЪ

Двухнедельный журнал по вопросам самоуправления на грузинскомъ и русскомъ языкахъ

„КАВКАЗСКИЙ ГОРОДЪ“

Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузин.

II-ой годъ изданія

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ

| | |
|----------------------------------|-------------|
| На годъ | 36 р. |
| На 6 мѣсяцевъ | 18 р. 50 к. |
| На 3 мѣсяца | 10 р. |
| Цѣна отдѣльнаго номера | 3 р. |
| Въ другихъ городахъ | 3 р. 50 к. |
| За перемѣну адреса | 50 к. |

строка петита позади текста 1 р.—50 к.
 Для лицъ, ищущихъ труда въ город-
 скихъ и земскихъ управленіяхъ—въ
 половинномъ размѣрѣ.

Редакція и контора: Армянскій базаръ, 6. Телефонъ 7-31.


ВЪ ЖУРНАЛЪ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ:

- Г. Н. Азатянъ, Е. Ф. Арванитаки, П. М. Аргутинскій, Г. Г. Алибеговъ, М. Арсенидзе, Г. Аюлю, И. Г. Бежановъ, А. С. Бритнева, Б. М. Бродскій, В. Бурджанадзе, д-ръ С. С. Вирсаладзе, Д. К. Гештейнъ, Н. М. Гикъ, Ю. Г. Гамалѣи, И. Гомартели, Т. Глончи, К. М. Дерковская, З. М. Дружинина, А. Джанджанашвили, С. И. Зубчаниновъ, Л. А. Ишкковъ, Г. Иремашвили, А. А. Калюжный, К. П. Канделаки, Д. З. Кореневъ, Э. И. Клейнъ, П. Л. Кикалейшвили, А. Кнапцъ, Г. Коніевъ, П. Кавтарадзе, Е. А. Маддисонъ, Г. Мамрадзе, Т. Маргвелашвили, Г. Нанейшвили, Д. Онѣашвили, д-ръ Е. Л. Пасись, проф. В. И. Разумовскій, С. И. Робакидзе, И. К. Рычгорскій-Савичъ, Н. П. Рухадзе, Г. Согоровъ, М. Н. Смирновъ, В. А. Соколовъ, I. Салакаа, А. Сванидзе, П. Савварелидзе, К. Сабахтарашвили, Д. Суліашвили, Ю. Х. Трейманъ, А. А. Тривусъ, Г. М. Тумановъ, Д. Топуридзе, д-ръ Ф. Л. Фехнеръ, Л. Шенгелая-Кіачели, В. Шарашанидзе, И. Червезинівили, В. А. Яновичъ, Н. З. Эліава, А. М. Эсень.

სამხედრო უზრუნველყოფის

„რესპუბლიკის ჯარი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილება)



ოფიციალი განყოფილება.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა .


რესპუბლიკის მთავრობისა
სამხედრო უწყების მიმართ
№ 8.

12 იანვარს 1919 წ. ქ. ტფილისი.

ამასთან ვაცხადებ საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო-საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც მოხდა 11 ქრისტეშობისთვის 1918 წ., პოდპორუჩიკის იოსებ ვარდანაშვილის შესახებ, გენერალ-მაიორი ფილიციანის თაემჯდომარეობით და წევრთა გენერალ-მაიორის მაყაშვილის და გენერალ-მაიორის ტატიშვილის მონაწილეობით:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით სამხედრო საკასაციო სასამართლომ მოისმინა საქმე პოდპორუჩიკის იოსებ ვარდანაშვილის საკასაციო საჩივრისა საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს შის შესახებ განაჩნე, რომელიც მოხდა 17 აგვისტოს 1918 წ. სამხედრო ნაფიცის მსაჯულების მონაწილეობით აღნიშნულის განაჩენით პრაპორუჩიკს, აწ პოდპორუჩიკს, იოსებ ვარდანაშვილს, როგორც ნაფიცის მსაჯულების მსჯავრით ბრალდებულად ცნობილს სამხედრო საქართველოს გზის საეტაპო უბნის უფროსის პოლკოვნიკის კირილენკოს სიტყვიერად შეურაცყოფაში, სასჯელთა სამხედრო წესდების 97 მუხ. 1 ნაწ. და 100 მუხლის ძალით, მისჯილი აქვს ოთხის თვით დამყოფება მთავარ-სახმილავში ზოგიერთ თუფლებათა და სამსახურის უპირატესობათა შეზღუდვით, თანახმად იმვე წესდების 27 და 33 მუხლებისა. ამ განაჩენზე მსჯავრ-დასადგება ვარდანაშვილმა

შემოიტანა საკასაციო საჩივარი, რომელშიც ითხოვს განაჩენის გაუქმებას საფსებით და საქმის ხელახლად გასარჩევად გადაცემას სასამართლოს დამსწრეობის ახალს შემადგენლობაში ამ საქმის განხილვის დროს სასამართლოს მიერ დაშვებულის კანონის შემდეგის დარღვეულობების გამო: 1, სამხედრო სასამართლოს არა ჰქონდა საფუძველი ეს საქმე მიეღო საწარმოებლად, რადგანაც მის, ვარდანაშვილის, და პოდპორუჩიკის კარილენკოს შორის არ იყო არავითარი სამსახურებრი დამოკიდებულობა, და ამას გარდა პოდპორუჩიკი კირილენკო არ ჩაითვლებოდა სამსახურით უდიდესად, რადგან თანამდებობით განაჯიკნებული იყო, არ ეწეოდა არავითარს სამსახურს იმ დროს, როდესაც მის და მსჯავრდასადგების შორის მოხდა შეტაკება. ამნაირად, მომჩივანის აზრით, ეს შეტაკება, რომელსაც ჰქონდა ხასიათი მოქალაქეთა შორის ჩვეულებრივის შეტაკებისა, არ ემსჯავრქვეითება სამხედრო სასამართლოს. 2, მიუხედავად 58 მუხლისა ყოფილის დროებითის მთავრობის დადგენილებისა 28 მაისითგან 1917 წ., რომელიც გამოქვეყნებულია ბრძანებაში სამხედრო უწყების მიმართ 6 ივნისს 1917 წ. № 336, სამხედრო სასამართლო შეუდგა ნაფიცის მოსამართლეების დამსწრეობის შედგენას არა 12 პირისაგან, არამედ მხოლოდ 11 პირისაგან, რომელთა რიცხვში იყო 6 ოფიცერი და 5 ჯარისკაცი, და ამნაირად ნაფიცი მსაჯულები, ჯარისკაცთაგან შევიდნენ დამსწრეობის შემადგენლობაში ყველანი როგორც 4 ვსებულმყოფელი და 1 სათადარიგო და 3, მიუხედავად 73 მუხლისა ყოფილის დროებითის მთავრობის იმავე დადგენილებისა სამხედრო სასამართლომ ნაფიცის მსაჯულების სათათბირო ოთახიდან დაბრუნების შემდეგ არ





ალაპარაკა მხარეები მსჯავრდასადების ბრალეულო-
ბის შედეგების შესახებ.

მოისმინა რა სამხედრო პროკურორის თანამ-
დებობის დროებით აღმასრულებელის დასკვნა და
შეუფარდა რა ვარდნაშვილის საჩივარში მოყვა-
ნილი საბუთები სასამართლოს სხდომის ოქმს და
კანონებს, სამხედრო საკასაციო სასამართლომ პპო-
ვა: 1, თანახმად შინა სამსახურის წესდების 8 და
14 მუხლებისა, შტაბ-ოფიცრები იმ ობერ-ოფიც-
რების მიმართ, რომელთათვისაც ისინი არიან უფ-
როსნი, ითვლებიან უდიდესებად, ხოლო თანახმად
სასჯელთა სამხედრო წესდების 100 მუხლისა, უმ-
ცირესებს უდიდესების შეურაცყოფისათვის მიეს-
ჯიბათ კანონში განსაზღვრული სასჯელი. ამასთან
იმავე წესდების 96 100 მუხლის ტექსტიდან,
რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას უფროს-
თა და უდიდესთა შეურაცყოფისათვის ხელქვეი-
თებისა და უმცირესთაგან, სულაც არ გამომდინა-
რეობს. რომ უდიდესი, თანამდებობითგან გადაყე-
ნებული, ჰყარგავდეს უმცირესის განსაზღვრულის
პატივცემულობის უფლებებს. ეს დაკანონებანი
ძალაში რჩებიან ახლაც, რაიცა მტკიცდება საქარ-
თველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით სამ-
ხედრო უწყების მიმართ 21 ოქტომბრითგან. 1918
წ. № 146. ამიტომ და ამის გამო, რომ როგორც
პოდპოლკოვნიკი კირილენკო, ისე ბრალდებულიც
იმ დროს, როცა უკანასკნელმა შეურაცხყო პირ-
ველი, იმყოფებოდენ ნამდვილს სამხედრო სამსა-
ხურში ერთისა და იმავე არმიის ჯარებში, და რომ
მაშასადამე პოდპოლკოვნიკი კირილენკო ბრალდ-
ებულის მიმართ იყო უდიდესი, უნდა ვცნოთ, რომ
სამხედრო სასამართლოს მიუღია ეს საქმე საწარ-
მოებლათ მართლებულად და კანონების თანახმად.

2; დროებითის მთავრობის 1917 წ. 28 მაი-
სის დადგენილების 58 მუხლის დარღვევის შესა-
ხებ, უნდა აღსარებულ იქნას, რომ თუმცა ნაჩვენე-
ბის მუხლის ძალით ნაფიცის მსაჯულების დამს-
წრობის შესადგენად მათი არჩევა უნდა ხდებოდეს
თორმეტის პირისგან, მაგრამ ამ მოთხოვნის დარ-
ღვევა, ყოფილის მმართველის სენატის განმარტე-
ბის თანახმად (1869 წ. № 347, 1870 წ. № 26
1883 წ. № 10 და სხ.) შეიძლება ჩაითვალოს არ-
სებითათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მის
შედეგად იქნება მხარეების შევიწროვება ჩამოცლის
უფლების განხორციელებაში, ე. ი. თუ მხარეები
ნაფიცის მსაჯულების დამსწრობის შედგენამდე
განაცხადებენ, რომ, თუ ნაფიცთა სია სრული არ
იქნა, არ შეიძლებათ მოითხოვონ ჩამოცლა, ხოლო
თუ მხარეები არ დაინახავენ დაბრკოლებას, რომ
დამსწრობა შესდგეს ნაფიცთა არა სრულის რიც-

ხვითგან და ამის გამო არა თხოულობენ სხდომის
გადადებას, ასეთი დარღვევა არ გამოდგება განა-
ჩენის გაუქმების საფუძვლად. გამოცხადებულის
ნაფიცის მსაჯულების რიცხვის უსრულობის წინა-
აღმდეგ სიტყვისგებანი კი მხოლოდ საკასაციო სა-
ჩივარში გამოცხადებულნი, როგორც უდროულნი,
არ ჩაითვლებიან შესაწყნარებლად. სასამართლოს
სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ არც მსაჯავრდასადებს
ვარდნაშვილს არც მის დამციგლს სიტყვა არ და-
უძრავთ ნაფიცის მსაჯულების დამსწრობის 11
კაცისგან შედგენის წინააღმდეგ და არც უთხოვნი-
ათ სხდომის გადადება, მაშასადამე მსჯავრდასადების
უფლებები არ დარღვეულა, ხოლო იმ გარემოებას,
რომ ჯარისკაცთაგან ოთხის ნაფიცის მსაჯულის
ვსებულ ბა არჩეულიყო ხუთის და არა ექსის პი-
რისგან, არ შეიძლო განაჩინზე რამე არსებითი გავ-
ლენა მოეხდინა. მით უფრო რომ მეხოთე სათათა-
რიგო ნაფიცის მსაჯულს არ მიუღია მონაწილეობა
გარდაწყვეტილებაში მსჯავრდასადების ბრალე-
ულობის შესახებ. 3, სამხედრო სასამართლოს წესდ-
ების 1002 მუხ. თანახმად, სამართლის მქნელობის
დარღვეულებანი შეიძლება გახდნენ განაჩენის კა-
საციის საბაზად იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი
ისე არსებითნი არიან, რომ მათ გამო არ
შეიძლება განაჩენი ცნობილ იქნას სასამართლოს
გადაწყვეტილების ძალაში, ე. ი. როდესაც ამ დარ-
ღვეულებათ აქვთ არსებითი გავლენა ნაფიცთ მსა-
ჯულთა გადაწყვეტილებაზე და ან მოსამართლეთა
განაჩენზე. ამ მხრით არ შეიძლება არ იქნას აღსა-
რებული, რომ მხარეებისთვის მოსპობა უფლებისა,
რომ ნაფიცის მსაჯულების მსჯავრის გამოცხადე-
ბის შემდეგ ილაპარაკონ მსჯავრდასადების ბრალე-
ულობის შედეგების შესახებ და ნამეტნავად მსჯავრ-
დასადებისთვის არ მიცემა უკანასკნელის სიტყვა-
სა, რის უფლებაც ჰქონდა მას თანახმად 73
მუხლისა დროებითის მთავრობის დადგინლე-
ბისა, რომ ლიც გამოქვეყნებული იყო ბრძა-
ნებში სამხედრო უწყების მიმართ № 338 და,
824 მუხლისა სასისხლო სამართლის წარმოების
წესდებისა, არის ისეთი დარღვევა, რომელსაც შე-
იძლო ჰქონოდა გავლენა ბრალეულად ცნობილის
მსჯავრდასადებისთვის სასამართლოს მიერ სასჯე-
ლის ზომის არჩევაზე, და თანახმად ყოფილის მმა-
რთველის სენატის არა ერთგზობითის განმარტები-
სა 1868 წ. № 575, 1873 წ. № 563, 1876 წ.
№ 206 და სხ., არის კანონის არსებითი დარღვევა,
რომელიც იწვევს განაჩენის გაუქმებას, მაგრამ,
რადგან მას არ შეიძლო გავლენა მოეხდინა ნაფი-
ცის მსაჯულების გადაწყვეტილებაზე მსჯავრდასა-
დების ბრალეულობის შესახებ, განაჩენის ასეთმა



ვაუქმებ მ არ უნდა გამოიწვიოს ნ. ფიცს მსაჯულე-
ბის მსჯავრის ვაჟიგება, რომელსაც რჩება მთელი
თავის ძალი. აღნიშნულთ მოსაზრებთა გამო სამ-
ხედრო საქსაჯიო საქმრთლო განსაზღვრავს: 17-
აქციისკოს 1918 წ. მომხდარი გ. ნ. ჩინი საქართვე-
ლოს რესპუბლიკის ჯარებ-ს ს. მხიდრო სასამართ-
ლოსი სამხირო ნ. ფიცთ მსაჯულოთა მონაწილეო-
ბით პრ პორუჩიკის, ახლა პოროპორუჩიკის, იოსიბ
ვარდანაშვილის შისახებ, თ ნახმ-დ მის საქსაჯიო
საჩივრისა და არსებოთის დატლივის გამო 73 მუხ-
ლისა ყოთილის დროიბითის მთავრობის დარგინი-
ლებისა, რომელიც გამოქვეყნებული იყო ბრძანე-
ბაში სამხიდრო უწყების მიმართ 6 ივნისს 1917 წ.
№336 და 820, 822 და 824 მუხ. სასიხლო სასა-
მართლოს წისდებ-სა, გაუშობლო იქნას და იმავე
სასამართლოს დაივალოს დამსწრეობის სხვა შემა-
დგენლობ ში განიხილოს ეს საქმი გ. მოსარკივად
კითხვისა სამხიდრო ნაფიცის მსაჯულების მსჯავ-
რით მსჯავრდასადების ვარდან. შვილის ცნობრის
ბრალყოლობისთვის საქმელთა კანონის გამოყენე-
ბის შისახებ, დანაჩინში მსჯავრდასადების საქსა-
ჯიო საჩივარი დატლივბო იქნ ს შეუწყნარებლად.
სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

13 იანვარი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

№ 11

სხვა და სხვა პირებს და დაწესებულებებს
საველე საქრეფონო სადგურებით სარგებლობის
საკითხის გამოსარკვევად და იმისაც თუ რამდენად
საჭიროა მათთვის ეს რეკრეფონები და აგრეთვე
საველე სატრეფონო ქსელის გენერალური შტა-
ბის განყოფილების გამგეობაში გადაცემის შესახებ
ენიშნავ კომისიას ტენერკური ათასეულის უფროსის
პოლკოვნიკი ქოჩლაძის თავმჯდომარეობით და სა-
პოროთა ათასეულს კაპიტან ებანოიძის, შტაბს-
კაპიტან ჯჯავაძის და სახალხო გვარდიის მთავარ
შტაბის ორი წარმომადგენლის წევრობით, თავისი
დასკვნა კომისიამ წარუდგინოს გენერალურ შტა-
ბის უფროსს.

„22“ იანვრისთვის 1919 წ.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

19 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 1

22 დეკემბერს 1918 წ. № 117-ით გამოცემუ-
ლის საქართველოს მთავრობის ბრძანების § 1-ის
ძალით, სამხედრო მინისტრის ბრძანებისამებრ, ვაწე-
სებ მეორე ქვეთა დივიზიასთან საგანგებო სამხედ-
რო სასამართლოს განსახილველად საქმისა 5 ე ქვე-
ითა პოლკის 9-ე გუნდის თექვსმეტის ჯარისკა-

ცის შესახებ, რომელთაც ბრალი ედებოდა მსაჯულე-
ბის მსჯავრის ვაჟიგება, რომელსაც რჩება მთელი
თავის ძალი (ბრძოლის დროს პოზიციის მი-
ტოვებისთვის).

აღნიშნულის 245 მუხლის ძალით გადავიწყულ-
ნი არიან ჩემ მიერ საგანგებო სასამართლოსითის
5-ე პოლკის მე-9 გუნდის ჯარისკაცები: 1. იოსებ
ილიას-ძე ხოსიტაშვილი, 2. გიორგი ზახარაძე-
ძე მიკოლაშვილი, 3. გიორგი გირჩინაძე გუგუშვი-
ლი, 4. პაილო ივანეს ძე ჟორაშვილი, 5. ნიკო-
ლოზ ალექსის ძე კოსტაშვილი, 6. მიხეილ ალფ-
ქსის-ძე დიდილაშვილი, 7. ნიკოლოზ იაგო-
რის-ძე ბორაშვილი, 8. მიხეილ ზურაბის-ძე
ზალიაშვილი, 9. ზაქარია დავითის-ძე შაიაშვილი,
10. ნიკოლოზ სარქისას-ძე ოზგოლა-შვილი, 11.
გიორგი ნიკოლოზის-ძე კიტაშვილი, 12. ვასილ
იკიაშვილი, 13. იოსონ სანიაშვილი, 14. კვირიკ
შიაშვილი, 15. ივანე მერანაშვილი და 16. იოსებ
მარუთაშვილი.

მიუწერ 2-ე ქვეითა დივიზიის უფროსს დანი-
შნოს საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე და
წევრები 1918 წ. № 177-ით გამოცემულის ბრძა-
ნების 1 პარაგრაფის მეორე პუნქტის ძალით. დანა-
ჩინში იხილმძღვანელოს იმავე პარაგრაფის 8, 9,
10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17 და 18 პუნ-
ქტებით და აგრეთვე ბრძანების № 177 მეორე პარა-
გრაფით.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე

გენერალ-მაიორი გედევანიშვილი.

28 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 189

ვბრძანებ პირველის ცხენოსანის პოლკის პოდპოლ-
კოვნიკმა ავალიშვილმა შეადგინოს ცხენოსანი ასე-
ული ხვესურთა, მოხვევთა და ფშავთაგან.

№ 190

30 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისი.

ხშირად ჯარის ნაწილების სასურსათო საწყო-
ბებიდან თხოულობენ სხვა და სხვა სურათ-სანო-
ვაგებს უბრალო ბარათებით და არა დაწესებული
ჩეკის წიგნების ფურცლებით ან აიგენენ ბეჭედ-
დაუსმელ ფურცლებს. ისეთ შემთხვევებსაც კი ქვე-
თადგილი, როლესაც ჯარის ნაწილები კერძო პი-
რებს ართმევენ სანოვაგეს ან ცხენების საკვებს,
აძლევენ ბარათებს და ფულის მისაღებად სამხედრო
სამინისტროს სადმინისტრაციო განყოფილებაში
ისტუმრებენ, ვინაიდან ასეთი მოქმედება ხელს
უშლის როგორც სურსათის საწყობებს, ისე საად-
მინისტრაციო განყოფილებას აწარმოვონ ჯეროვა-
ნი ანგარიში ხაზინის შემოსავლ-გასანდისა, ვბრძა-



ნებ სურსათ-სანოვაგის მოთხოვნილება დაწერილი იქნას ჩეკის წიგნის ფურცელზედ, დასმული ჰქონდეს ჯარის ნაწილის ბეჭედი. ხელმოწერილი იყოს საშეურნეო ნაწილის და საქმის მწარმოებლის მიერ.

უამისოთ უბრძანებ სასურსათო საწყობების გამგეებს არ გასცენ სურსათ-სანოვაგე და ცხენების საკვები საწყობებიდან, არც ომის ასპარეზზედ და არც ზურგში.

ჯარის ნაწილებს კი ვავალებ იქონიონ ყოველთვის გამზადებული ჩეკის ფურცლები, რომ არც თვითონ დაბრკოლდნენ სურსათის მიღების დროს და არც საწყობების გამგეებს გაურთულონ საქმის წარმოება.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,
გენერალ მაიორი მდივანი.

30 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 191

ნაცვლად და განსამარტებლად მე-X დამატების 1429 მუხ. ს. დ. კ. 1869 წ. XXIV წიგნის მე-4 გამოცემისა (სამხედრო უწყებისადმი ბრძანების 1914 წ. № 464 და 1915 წ. № 513). და სამხედრო უწყებისადმი ბრძანებაში 1917 წ. № 7 გამოქვეყნებულ კანონების, განაჩენის გამოტანის და სისრულეში მოყვანის სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ ომიანობის დროს და აგრეთვე გადადების სამხედრო გამოძიების და სამხედრო სამოსამართლო საქმეების იხელმძვანელება ქვემო აღნიშნული კანონები:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ოფიცერს, სამხედრო მოხელეს და ჯარის კაცს, რომელნიც არიან გასაგზავნი მომქმედ ჯარში, მიუსაჯავენ იმნაირ სსჯელს (5 და 6 მუხ. ს. დ. კ. 1869 წ. XXII წიგნი, მე-4 გამოცემა), რომელიც არ იწვევს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნას, მაგრამ დამოკიდებული კი არის დაპატიმრებასთან, სსჯელის მოხდა ომის გათავებამდის გადაიდება; დანარჩენ შემთხვევებში კი განაჩენი საჩქაროთ მოიყვანება სისრულეში.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც მომქმედ ჯარში გასაგზავნი ჯარის კაცს მიუსაჯავენ გამასწორებელ სსჯელს (6 მუხ. ს. დ. კ. 1869 წ. XXII წიგნი, მე-4 გამოცემა), სამხედრო წოდების ჩამორთმევით და სამსახურიდან დათხოვნით, უფროსებს, რომელნიც სარგებლობენ პოლკის უფროსების და უმეტესი უფლებით, ეძლევათ უფლება ან გაგზავნონ დამნაშავე დასაპატიმრებლათ, როგორც განაჩენში აღნიშნული, ან კიდევ განაჩენის ყველა მისის შედეგებით ასრულება გადასდონ ომის გათავებამდის და გაგზავნონ დამნაშავე მომქმედს ჯარში.

3. 1-სა და 2 მუხ. აღნიშნული წესები ეხება

იმ სამხედრო მოსამსახურეთაც, რომელთა შესახებაც განაჩენი არის გაგზავნილი სისრულეში მოსაყვანათ, მაგრამ ჯერ არ არის ასრულებული, ან კიდევ დამნაშავემ არ მოიხადა სასამართლოსგან მიჩენილი საპატიმრო სსჯელი.

4. იმ შემთხვევაში თუ გადაიღო განაჩენის ასრულება ომის გათავებამდის, ამის შესახებ ნაწილების უფროსები, რომლებიც მოიალენი არიან განაჩენი მოიყვანონ სისრულეში, საჩქაროთ ატყობინებენ კუთვნილებისამებრ სამხედრო პროკურორს, ან კიდევ სამოქალაქო უწყების პროკურორებს.

5. გადადებული სსჯელი მოჰყავთ სისრულეში ომის გათავების შემდეგ, მაგრამ თუ დამნაშავემ გამოიჩინა ბრძოლაში სიმამაცე ან კიდევ რამე ფრიად სამნიშვნელო მოქმედება, უფროსს, რომელიც სარგებლობს პოლკის უფროსის უმეტესის უფლებით, ეძლევა ნება იშუამდგომლოს უფროსის წინაშე სსჯელის შემსუბუქებისათვის ან კიდევ სრულებით პატიებისთვის. ამ შუამდგომლობას სწყვეტს ლაშქართ უფროსი, რომლის გადაწყვეტილებასაც ნაწილის უფროსი, რომელმაც აღძრა შუამდგომლობა, ატყობინებს კუთვნილებისამებრ სასამართლო მართველობას.

6. სსჯელი, მიკუთვნებული სისხლის სასამართლოს დაზღვევისათვის, არ გადაიდება ომის გათავებამდის (მე 2 მუხ. ს. დ. კ. 1869 წ. XXII წიგნი, 4 გამოცემა)

7. გადაიდება ომის გათავებამდის სამხედრო სასამართლოს წარმოება, რომელიც ექვემდებარება პოლკის ან კიდევ მისი თანასწორ უფლებიან სასამართლოს იმ ჯარის კაცებზე, რომელნიც გასაგზავნი არიან მომქმედ ჯარში.

8. სამხედრო-საგამომძიებლო და სამხედრო სამოსამართლო საქმეები იმ ოფიცერთა, სამხედრო ხარისხოსანთა და ჯარის კაცთა, რომელნიც უნდა გაიგზავნონ მომქმედ ჯარში და რომელნიც დაქვემდებარებულნი არიან საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოსთვის, შესაძლებელია გადაიდვას ომის გათავებამდის, მხოლოდ აღნიშნული სასამართლოს დადგენილებით, რომელს სასამართლოსაც უნდა მიმართონ ხოლმე სამხედრო უფროსებმა, ყოველ შემთხვევაში ცალკე.

9. ომის გათავებამდის შეჩერებული საქმეები იმ რიგით, როგორც ნაჩვენებია 7 და 8 მუხ. განახლებულნი უნდა იყვნენ ომის გათავების შემდეგ და უნდა იყვნენ გარჩეულნი. მე 5 მუხლში ნაჩვენები წესები ეხება აგრეთვე იმ დამნაშავესაც რომელთა საქმის გარჩევა გადაიდვა ომის გათავებამდის, სასამართლოს განჩინების დადგენის შემდეგ.

სამხედრო მინისტრი ვიორგაძე.



სამხედრო უწყებების მიმართ.

10 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 1.

§ 1. ბორჩალოს მაზრაში ამბოხების და სამხედრო რესპუბლიკასთან ომის გამოწვევის მიზეზების გამოსარკვევად 5 ამა იანვარს შესდგა განსაკუთრებული საგამომძიებლო კომისია შემდეგ შემადგენლობით: თავმჯდომარე — საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე ლენერალ-მაიორი როინიშვილი, წევრები: ყოფილ წევრი საგლეხო საკრებულოსი აბაზი, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მყოფი განსაკუთრებულ მინდობილებათა ხარისხოსანი ჩიკვაძე, სამხედრო გამომძიებელი პოდპორუჩიკი მონასელიძე, — მდივანი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკსეკუტორი შოთნიევი და თარჯიმანი — საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს მდივნის თანაშემწე გუბერსკი სეკრეტარი ნადირაძე.

საფუძველი: სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე ს ამა წლის 6 იანვრის № 22 რაპორტი.

§ 2. წინასწარ გამოძიების დროს ზემო აღნიშნულ საგამომძიებლო კომისიის წევრებს და მათ შორის თავმჯდომარეს, მდივანს და თარჯიმანს შეენახოთ ძველი თანამდებობა და ჯამაგირი. მიეცეთ დღიური სახარჯო 5 ამა იანვრიდან იმ ნორმით, რომელიც დაწესებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით 18 დეკემბრის 1918 წ. № 80, კომისიის წევრის აფხაზის გარდა, რომელსაც უნდა მიეცეს დღიურად 50 მან.

11 იანვარი 1919 წ. ქალ. ტფილისი

№ 2.

ვინაიდან სამხედრო სამოსამათლო საქმეები ბლომად დაგროვდა საქართველოს ჯარების სამხედრო სასამართლოს დროებით შემადგენლობას, ჩემს მიერ გამოცხადებულს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებაში (სამხედრო უწყების მიმართ) 1918 წ. 8 ივლისის თარიღით № 7, მიემატოს ერთი სამხედრო მსაჯული, ერთი სამხედრო გამომძიებელი, ერთი მდივნის თანაშემწე და ორი მწერალი (რომლიდანაც ერთი სამხედრო გამომძიებელისა) 1918 წლის 23 ნოემბრიდან.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

18 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 3.

გამოსარკვევად იმისა თუ სამხედრო აფთიაქში რაოდენი წამლეულემა მოიპოვება დაწესებულს რაოდენობაზე მეტი, ვბრძანებ შესდგეს სამხედრო სამინისტროს სასანიტარო განყოფილების ფროსის თანაშემწის საფარმაცევტო ნაწილის ალბაზიშვილის თავმჯდომარეობით კომისია, რომლის წევრებად იქნან: ექიმი მამულია, სასანიტარო განყოფილებიდან ქიმიკოს-ფარმაცევტი რობერტ დავითის-ძე კუბ-

ტიცისი, სასახლო გვარდიიდან ექიმი **ქატიკენაშვილი** ფარმაცევტი ლოლობერიძე.

კომისია შეუდგეს მუშაობას 20 ამ იანვარს და საქმის ვითარება მე მომახსენოს.

ამავე კომისიის ევალეზა გამოძიოს საქმე ზეწურების ყიდვის შესახებ სამხედრო ჰოსპიტალისათვის.

6 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 4.

რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის წყობილობის გადამინჯვამდე საადმინისტრაციო განყოფილების საბენსიო სექცია გადაეცეს სამინისტროს პიროვნული შემადგენლობის განყოფილებას.

6 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 5.

ომიანობის გამო შემდგარყოფილის ტრანსპორტების მესაზიდლეებს ვუნიშნას ჯამაგირად დროებით გარემოებათა შეცვლამდე ორას-ორასს მანეთს თვეში გარეშე მათ რჩენისა და სატრანსპორტო პირუტყვის კვებისა ხაზინის ხარჯით.

სამხედრო მინისტრის მავიერ, გენერალ-მაიორი გედევანიშვილი.

15 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 6.

ინიშნებიან: ამიერ-კავკასიის ფლოტის ყოფილი სარდალი კაპიტანი 1 რიგობისა ქავჭავაძე ფოთის სამხედრო ნავთსადგურის და სამხედრო გემების რაზმის უფროსად.

გენერალურის შტაბის განყოფილების სამხედრო-სახლგაო სექციასთან მივლენილი ინჟენერ-მეხანიკოსი მიჩმანი ქავთარაძე ნავთსადგურის ინჟენერ-მექანიკოსად.

ორნივე ამ იანვრას 15-ილგან ჯამაგირით დროებითის შტატების თანახმად.

საფუძველი: ფოთის სამხედრო ნავთსადგურის დროებითი შტატები.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

დროებითი შტატები

ფოთის სამხედრო ნავთ-სადგურის სამმართველოსი.

| თანამდებობათა სახელწოდება | პირთა რიცხვი | თვეური სარჩენი | | შენიშვნა |
|---|--------------|----------------|----------|----------|
| | | მან. | ქ. | |
| სამხედრო ნავთ-სადგურის უფროსი (კაპიტანი 1 რიგობისა ან კონტრ-ადმირალი) | 1 | 1300 | — | |
| ნავთ-სადგურის უფროსის თანაშემწე (ზღვის შტაბ-ოფიცერი) | 1 | 900 | — | |
| ინჟენერ-მეხანიკოსი | 1 | 850 | — | |
| ფლაგ-ოფიცერი (ობერ-ოფიცერი) | 1 | 725 | — | |
| საქმის მწარმოებელი (მოხელე ან ობერ ოფიცერი) | 1 | 725 | — | |
| გადამწერი | 3 | 400 | — | |
| მწყობრგარეთი | 2 | 250 | — | |
| ნავთ-სადგურის მილიციონერი. | 40 | 250 | — | |
| სულ თვეში | | 16200 | — | |



| | |
|---|------|
| სულ: ოფიცერი | 4 |
| მოხელე | 1 |
| გადამწერი | 3 |
| მწყობრგარეთი | 2 |
| სამწყობრო | 40 |
| საკანცელარიო ხარჯათ თვეში | 400 |
| ერთდროულათ კანცელარიის მოსაწყობად | 3000 |
| სამხედრო მინისტრი გიორგაძე. | |

12 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.
№ 7.

დაარსებულ იქმნას დროებით ომით გამოწვეულ მდგომარეობისა გამო ქ. ახალქალაქში და სადგურ აშალა-სერალში სასურსათო საწყობები 1 ამა იანვრიდან.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

არა ოფიციალი განყოფილება

თბილისი, 2 თებერვალი.

კულტურული უკანასკნელ ჩქმს წერილში მუშაობა ჯარში. საზგასმით აღვნიშნეთ: ჯარის ზრდა, ჯარის სავსებით მოწეობა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი და უუსაჭიროესი საქმეა და მისთვის არაფერი უნდა დავხოცოთ. მართლაც ჯარის დაყენება სათანადო სამხედრო დონეზე, მისი შესაფერისი გაწოდება და განსწავლა სამხედრო მოთხოვნილებათა მისთვის — დიდი საქმეა, მაგრამ ეს დიდი საქმე წეალწადებული იქნება, თუ მას სულს არ ჩაუბერავთ, თუ მას არ გავაცოცხლებთ და არ გავამდიდრებთ აგრეთვე კულტურული მუშაობით.

საერთოდ, კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, მასში ცოდნის შეტანას, მასის კათვ თცნობიერებას — ერის ბრწეინვალე განვითარებისათვის უადრესი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ წერაკითხვის სრულობრივ გავრცელება, კულტურული ცხოვრებით დაინტერესება და განათლება, — ცოდნისადმი მისწრაფების შექმნა და გაღვივება — არანაკლებ საუურბადლებო და ღირსშესანიშნავი მოვლევ

ნაა, რომელსაც სათანადო ადგილი უნდა ღაეთმოს ჯარშიც.

კულტურული განვითარების ფერხულში ჩაბმა, — კულტურით ზიარება — უპირველესი საქმეა და მას შესაფერისი დრო და ენერგია უნდა მიეცეს.

ჯარი ბრძოლის ველზე შეიძლება დამარცხდეს, მაგრამ საღი ეროვნული გრძნობა, სამშობლო და თავისუფლების მოვალეობის შეგნება მოქალაქეობრივი ვალდებულება, — თუ სავსებით განმტკიცებულია მასში, — იგი არასოდეს არ დამარცხდება და სხვის უცხო ძალის სათრეველათ არ განდება. ამ სულის და შეგნების დამკვიდრება — განმტკიცებაში კი კულტურულ განვითარებას და განათლებას ფართოდ გავრცელებას უსათუოდ პირველი ადგილი უკავია.

თუ მოქალაქემ იცის რას ემსახურება იგი, თუ იგი გაცნობილია თავის და სხვის მოვალეობას, მსურველკომანწილეობას დებულობს მოქალაქეობრივ ცხოვრებაში, მის დუდილში, — მაშინ იგი ადვილათ გაიმსჭვალება თავის სახელმწიფოსადმი მოვალეობის შეგნებით და როდესაც ამას მოითხოვს მისი ქვეყანა, შეგნებულათვე თავს დასდებს მისთვის, მტლათ დაედება მას, უსიტევოთ შეეწირება მის სამსხვერწლოს.

ჩვენი ჯარისკაციც სომ იგივე მოქალაქეა! ისიც სომ თავისუფალი მოქალაქეა და როდესაც ეს მოქალაქეები სამხედრო სწავლა — ცოდნის მისაღებათ ერთად არიან თავმოყრილნი, — იბადება საკითხი მათი აზრდისა არა მარტო სამხედრო ცოდნათა მისაღებათ, არამედ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისათვისაც.

ამ მხრივ ბევრი რამ არის ჩვენში განაკეთებელი და ეურბდსადები. თუ რა უნდა გაკეთდეს და რას უნდა მიექცეს უმთავრესი ეურბადლება ამას შესახებ მკითხველს შემდეგში მოკლავანარაკებით.



ზღვაოსნობის საკითხი ჩვენს რესპუბლიკაში ¹⁾

გაცილებით უკეთესია გავრის რეიდი, რადგან აქ ქარისაგან მაინცაა დაფარული გემები. ზღვის ძირი არაა აქ ისე უსწორ-მასწორი, არც შესაფერი სიღრმე აქლია მას. ზაფხულობით მაინც ეს რეიდი მშვენიერი სახმარია. ნულარ გავჩერდებით ბიჭინთაზე. აქ მხოლოდ მაიაკი თუ მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას. არც სუხუმია თუმცა პორტი, მაგრამ აქაური რეიდი მყუდროთ ითვლება მთელი წლის განმავლობაში. აქ ქარიშხლის დროს მას აფარებენ ხოლმე თავს გემები. ყულევის (რედუტკალე) რეიდიც ბევრით დაუფარდება სოხუმისას.

შემდეგ მისდევს ჩვენი პირველი მნიშვნელობანი პორტი—ფოთი. მას ვერ ვაკუთვნებთ ბუნებრივი პორტების რიცხვს; იგი უფრო ხელოვნურათ აგებული პორტია. იგი რიონის მარჯვენა ტოტთანაა გაშენებული.

ნაპირიდან მისდევს ორი ქვის კედელი, რომელნიც შემდეგ უხვევენ და ერთმანეთს უახლოვდებიან იმდენათ, რომ გემის შესასვლელათ 45 საყენი რჩება. მარცხენა ანუ ქვემო კედელი, რიონის მარჯვენა ნაპირის გავრძელებას წარმოადგენს. კედელი გახნეკილათ შესდევს ზღვას 160 საყენის სიგრძეზე და შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ უხვევს (36 საყენის სიგრძეზე). ზემო კედელი 300 საყენითაა მოშორებული ქვემოზე. იგი ჯერ პირდაპირ შესდევს ზღვას 180 საყენის სიგრძეზე, შემდეგ (120 საყენის სიგრძეზე) თანდათან უხვევს რკალივით და ისევ პირვანდელ მიმართულებას იღებს (150 საყენის სიგრძეზე). კედლების სისქე ექვსი საყენია. პორტი ორ ნაწილათაა გაყოფილი. წინა და უკანა ნაწილები კედლით არიან განცალკევებულნი, რომბოლოს სიგრძე 120 საყენს უდრის, სიგანე კი 23 საყენს. ამ კედელზევეა აშენებული პაკაუზი. პორტის სიღრმე 16—დან 18 ფუთამდე აღწევს.

ფოთის ნავთსადგურის უდიდესი ნაკლი ისაა რომ მისი შესავალი იქითკენაა მიმართული საიდანაც ქარი უდგება სწორეთ პორტს. ამის გამო დიდი ქარების დროს თვით ნავთსაყუდშიაც კი ვერ ისვენებენ გემები. პორტში შესვლა ასეთი ქარის დროს რომ ყოველათ მოუხერხებელი ხდება. დიდ ნაკლათვე უნდა ჩაითვალოს ამ პორტის სიპატარავე, რომელიც შეუძლებლათ ჰყოფს მასში დიდი გემების მოთავსებას. ძველი მთავრობა უწევდა ამ ნაკლს ანგარიშს და ჰფიქრობდა ამ პორტის გადაკეთებას, რადგან მას კარგათ ესმოდა მისი მნიშვნელობა,

მაგრამ მსოფლიო ომმა აღარ დააცალა ჩვენს რეიდი მოეყვანა ეს განზრახვა.

ფოთი არ იყო რუეთისთვის ის, რაც ჩვენთვის ა. ჩვენი მთ ვრობა დააფასებს ამას და ეხლა თუ არა შემდეგში მაინც ეცდება ააცილოს მას ზემო აღნიშნული ნაკლები, ამისთვის დიდი ხარჯები იქნება საჭირო, მაგრამ ისინი სულ მოკლე ხანში დაიფარება გადიდებულ შემოსავლივით. ფოთზე უფრო მნიშვნელოვანი, როგორც პორტი, ბათუმია. შავი ზღვის პორტებში იგი ოდესსას და ნოვოროსისისკს თუ დაუფარდება მხოლოდ, სხვებს კი ყველას სჯობია.

ბათუმის აღორდინება XIX საუკუნის ნახევრიდან იწყება ამ დროს ხდება იგი ყოიმ კავკასიის გზის შილა პუნქტათ. ამ დროიდან იწყება აქ სანავო და საკაბოჯაჟო საყუდრებს შენება. დიდი იყო ბათუმის მნიშვნელობა წინათ. კიდევ უფრო დიდი იქნება იგი შედეგში, მეტადრე დაკოხს კაპიტანარსა და ქუთაისს შუა თუ რკინისგზა გავიდა. 1909 წელს ამ პორტმა ისტუმრა 1406 გემი, (1,402,000 ტონა). გაისტუმრა 1473 გემი (1,401,000 ტონა). საქონელი გაიზიდა პორტიდან 40 მილიონი მანეთისა, გაიზიდა 11 მილიონი მანეთია. გაჰქონდათ ნავთი, შავი ქვა სიმ.ნდ, ხე.—ტყე, მატყლ-აბრეშუმი და სხვა.

ბათუმს თუ ხეირიანათ უპატრონეთ ის პირველი ხარისხის პორტი შეიქნება.

პორტი ორი ნავთსაყუდრისაგან შესდგება. ერთი საკაბოჯაჟო ანუ ახლო მომავალ გემთათვისაა დანიშნული მეორე კი სხვებისათვის. მეორე ნაწილს ნავთის პორტს უწოდებდენ რადგან აქედან გაჰქონდათ ნავთი უცხოთში. ნავთის პორტს ცალი მხრივ მიუღის 460 საყენიანი კედელი, რომელის სიგანე ალკალაგ 65 საყენს აღწევს. ამ კედლიდან ერთი სხვა კედელი სამხრეთ დასავლეთისაკენ მიჰყვება, მეორე კი ჩრდილო-აღმოსავლეთ საკენ. ამ უკანასკნელი კედლისა და ზღვის ნაპირის შუა მთავსებული საკაბოჯაჟო ნავთსაყუდი. ვერ ვიტყვთ რომ პორტი საუკეთესოთ იყოს მოწყობილი მის უმთავრეს ნაკლს დოკების უქონლობა შეადგენს. არც სარემონტო სახლოსნობია აქ, ასე რომ დაზიანებული გემი ოდესაში უნდა გაემგზავოს უსათუოთ შესაკეთებლათ.

ამ ნაკლების შესწორება სულ მოკლე ხანში უნდა მოეხე ხოთ, თუ გვსურს, რომ ბათუმის ბწყ ნავთი მოვალი არ შევადგინოთ. დასასრულ ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დავასკვნათ. ჩვენს რესპუბლიკას აქვს ერთი შესანიშნავი ბუნებრივი პორტი, რომელსაც ბწყწვალე მომავალი აქვს და ერთი ხელოვნური რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი

1) იხ. „რ. ჯარი“ № 8



რამ აკლია, მაგრამ მაინც დიდ როლს თამაშობს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში. ჩვენს საზღვაო ხაზს ყველაფერი მოეპოვება, რაც ზღვაოსნობისათვის არის საჭირო. ჩვენ ადამოკიდებული როგორც გამოვიყენებთ ამ დაუფასებელ სიმღ დრეს. რა უნდა ექნათ დღესვე მის გამოსაყენებლათ, ამაზე შემდეგ წერილში.

გ. ჩ.

მებრძოლებს.

(მიმართვა)

გამარჯვების $\frac{3}{4}$ მორალური ძალებისაგანაა დამოკიდებული, $\frac{1}{4}$ მატერიალურისაგან.

ნაბოლენი.

მებრძოლი ძალის უმთავრესი ელემენტი, უმნიშვნელოვანესი აგენტი ცოცხალი ადამიანია. მასგანაა უმთავრესათ დამოკიდებული ბრძოლის ბედობალი. მისი გული გონება და ფიზიკური ძალები თამაშობენ მასში მთავარ როლს. რაკი ეს ასეა მებრძოლის შესწავლას, ფიზიკურისა და სულიერის მხრივ დიდი ფასი ედება. ამ შესწავლაზე ბევრსა სწერენ, კიდევ უფრო ბევრს ლაპარაკობენ მაგრამ არაფერს კი არ აკეთებენ. როცა მორალურ ძალაზე და მის ხეივანათ მოხმარებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი მაშინვე „ნიჭზე“ მიგვითითებენ ხოლმე, როგორც ისეთ რამეზე, რომელიც აუცილებლათაა საჭირო ამ ძალების გამოსაყენებლათ.

მაგრამ მებრძოლი ისეთივე ადამიანია, როგორც ყოველი სხვა. მისი სულიერი მოვლენები იმავე საერთო ფსიხოლოგიურ კანონებს ემორჩილებიან. შევისწავლოთ მაშასადამე ეს კანონები და იქნება გვარის ფსიხოლოგიის გაგებაც გაგვიადვილდეს.

მივაქციოთ აგრეთვე ყურადღება წინიმძღვრობის ფსიხოლოგიასაც და მაშინ ალბათ შევძლებთ იმის გამოკვევას, თუ რა არის „ბრძოლის ფსიხოლოგია“ რა ძალები თამაშობენ მასში უმთავრეს როლს.

თავიდანვე უნდა განვაცხადოთ, რომ ეს შესწავლა ცდაზე უნდა იყოს დამყარებული.

ასპარეზათ ბრძოლის ველი უნდა ვიქონიოთ, რადგან აქა გვაქვს ჩვენ საქმე ნამდვილ მებრძოლთან. ყაზარმაში ან მინდორში ჩვენ ვერ დავაფასებთ სისწორით მებრძოლს რამდენიც უნდა ვიმტვრიოთ თავი. მოვარჯიშე ჯარის კაცი იმდენათვე განსხვავდება ბრძოლაში ჩართულ ჯარის კაცისაგან, რამდენადაც ვარჯიშობის ველი თვით ბრძოლის ველისაგან.

უკანასკნელი დროის ომებმა უზარმაზარი მასა-

ლები მოგვცეს ზემო დასმულ კითხვებზე. მაშასადამე, მაგრამ ეს მასალები გაბნეულნი არიან: საჭიროა მათი მოკრეფა. ყოველი ჩვენთაგანის ცდა გაფართოვდა დაკვირვებით, თუ ყველა მოვისურვებთ და თავს მოვუყრიო ამ დაკვირვებებს, სამხედრო-მეცნიერებას დიდათ ვასარგებლებთ; იგიც ხომ ცდაზეა, როგორც ყველა სხვა მეცნიერება, დამყარებული.

ამ მიზნის მისაღწევათ ჩვენ ვანვიზრახეთ ქვემო მოყვანილ ანკეტის გამოქვეყნება. ვისაც აინტერესებს სამხედრო მეცნიერება და მისი წინსვლა პასუხს მოგვცემს ჩვენს კითხვებზე. არც ერთი განცდა, (საკუთარი ან უცხო) არც ერთი დაკვირვება არ უნდა იქმნეს დაკარგული. აღწერა უნდა იქმნეს მარტივი მოკლე და უტენდენციო.

ანკეტა*)

კითხვები.

როგორი იყო თქვენი სულიერი განწყობილება, როდესაც ბრძანება მიიღეთ, როდესაც ცეცხლის სფეროს მიუახლოვდით, როდესაც მასში შესვლას ეპირებოდით, როდესაც შეხვდით. როდესაც მოჰყვით ტყვიისმფრქვევლებს, ზარბაზნების ან ყუმბარების ცეცხლის ქვეშ. როგორ მოქმედობდა თქვენზე ყუმბარის გახეთქა. მისი თავზე გადარება, გაზების იერიში? როგორ იმოქმედა თქვენზე კონცენტრიულმა ზარბაზნების ცეცხლმა, წინა ხაზზე, სითადარიგო რაზმში, ზურგში? რა შთაბეჭდვლებას იწვევდა ჩვენი არტილერიის პასუხი?

რას განიცდიდით თქვენ? ხელ ჩართულ ბრძოლის დროს, გამარჯვების შემდეგ, დამარცხების შემდეგ? მაშინ როდესაც კარგათ გქონდათ გარკვეული რა უნდა გეკეთებიათ და როდესაც არ იცოდით ეს? როგორი იყო თქვენი სულიერი განწყობილება ერთ ადგილზე დიდხნის დგომის დროს? შიმშილ-წყურვილის ან დიდი ხნის უძილობის დროს? რა ფასს სდებდით თქვენ სიხელდახელო აგებულ სიმაგრეებს თხრილებს, საფარებს, ფუფასებს და სხვ.? რა განიცადეთ თქვენ როცა შეიტყვეთ, რომ გზა მოგიჭრეს, ზურგიდან ან გვერდიდან გიშენდნენ ტყვიას? როცა დაგჭრეს? გაუტაცნხართ თუ არა სტიქიურათ გრძობას წინ? რისგან იყო ეს გატაცება გამოწვეული? გამოგიცდიათ ბრძოლის დროს პანიკა, რამ გამოიწვია იგი, რამ დაახბო?

ჰქონდა თუ არა თქვენზე რაიმე გავლენა ბრძოლის დროს რელიგიურს ან პატრიოტულს მოსახრებებს? მოვალეობის შეგნებას, სირცხვილს, ამხანაგობას, დისციპლინას, ჯილდოს, სასჯელს რა

*) აქ მოთავსებული კითხვები სამხედრო აკადემიებშია შემუშავებული.



რიგ იმოქმედა თქვენზე ალკოჰოლმა ბრძოლის დროს და მას შემდეგ?

სულიერი განწყობილება ღამე და დღისით ბრძოლაში. უეცარი თავდასხმის დროს და სხვა.

ცნობებში აღნიშნული უნდა იყოს: 1. პასაკი 2. ოჯახური მდგომარეობა 3. ჯანმრთელობა ომის წინ, ომის შემდეგ 4. ცენზი (რა განათლება მივიღიათ?) 5. რამდენი ხანი დაჰყავით ბრძოლის ველზე და სხვა? 6. როგორ უყურებდით მათრობელ სასმელს. 7. რა რიგ შეიცვალა თქვენი განცდა, როდესაც მეორეთ და მესამედ მოხვედით ერთსა და იმავე მდგომარეობაში 8. ძალიან საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე: რომელ ბრძოლაში რა დღეს, დასიწყიში თუ გათავებისას მიიღო მოპასუხებ მონაწილეობა. რა ადგილი ეჭირა მას; სარდალი იყო იგი, მისი თანაშემწე, ასისტავი თუ სხვარამ? უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, ჰქონდა თუ არა მას რაიმე განსაკუთრებული როლი.

თუ მოპასუხე რომელიმე განსაკუთრებულ მომენტს ასწერს ბრძოლისას საჭირო იქნება მან შემდეგ კითხვებიც ვაშუქოს 1. როგორი იყო აზრების მომდინარეობა, ერთმანეთს ეხლებოდნენ ისინი თუ ზანტათ იცვლებოდნენ? ბრძოლას შეეხებოდნენ ისინი თუ სხვა რამეს? 2. რა გუნდებაზე იყავით? (აღფრთოვანებული თუ არა და სხ.).

3. როგორ გრძნობდით თავს! მოწყენილათ შხიარულათ, გაჯავრებულათ შებრწყინებულათ?

4. როგორ იხატებოდა გრძნობა მოქმედებაზე? იჯექით, იწეკით დადიოდით? შეგნებულათ? თუ შეუგნებლათ? როგორ ეგებებოდით ახალ ცნობებს ან ხმებს?

5. რეფლექტორულათ ხომ არ ამოძრავებდით ხალხს; თავზე, გულზე, კისერზე ან სხვაგან ხომ არ ავლებდით მათ უნებურათ?

6. რამდენათ ცხადლივი იყო თქვენში შეგნება განსაცდელისა? ფიზიკური მდგომარეობა.

1. რას გრძნობდით ტანში: (შიშის, სიცვიის ერთუანტელს) 2. ოფლი ხომ არ გდიოდათ? რა მდგომარეობაში იყო თქვენი გული: ამოვარდნას აპირებდა იგი თუ ოდნავ სცემდა, ილეოდა თუ კარგათ მოქმედობდა? 4. როგორი იყო სუნთქვა: თავისუფალი თუ მძიმე; პირი ხომ არ ვიშრებოდათ? ხშირათ თუ სვამდით და რამდენს? ხშირათ გჭირდებოდათ ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება? 7. მადა ან ძილი როგორი გქონდათ განცდის დროს და მის შემდეგ? 8. ფიზიკური დავრომილება ხომ არ გიგრძნვიათ განცდამდის?

რას ამჩნევდით სხვებს.

1. რაზედ ლაპარაკობდნენ და რას. 2. როგორის ხმით? (ჩაგრულით დაბალით თუ მაღალი ხმით)

3. ვისზე უფრო ფიქრობდნენ თავის თავზე? ერთმანეთს შველიან? ეკამათებიათ? ეხუბებიან? 4. როგორ უყურებენ უფროსებს: ემოციონლებიან დისციპლინას? ასრულებენ ბრძანებებს? რამი გამოიხატა ერთის ან მეორეს დარღვევა? 5. როგორი იყო სახის გამომეტყველება ან თვით სახე: მშვიდი, აღშფოთებული, გაფითრებული, გალურჯებული? ან როგორი იყვნენ სხეულის მოძრაობანი, მარჯვე ნორმალური თუ მოუხერხებელი (ხელების კანკალი ასანთის ხმარების დროს თუთუნის წვეის დროს და სხვა)?

7. მექანიკური მოქმედებანი: უმიზნო სროლა ან თოფის ტენა. 8. თავდავიწყება ერთი და იგივე რამოდენიმეჯერ გამეორების ან ხელით შეხების საჭიროება. 9. როდის ისმენდნენ განსაკუთრების ყურადღებით ბრძანებას? 10. რეფლექტორული მოძრაობანი. 11. წყალს ხშირათ სვამდნენ. 12. მადა და ძილი განცდის წინ და მის შემდეგ. 13. ყველა ერთნაირათ იქცეოდა თუ ზოგი ერთი სხვებს?

14. არა ნორმალურობა ხომ არ შეგინიშნავთ ბუნებრივი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, 15. როგორ იქცეოდნენ ერთსა და იმავე პირობებში მებრძოლები ომის დასაწყისში და შემდეგ.

ყველა პისუხი გთხოვთ გამოგზავნოთ მთავარ შტაბში პოლკოვნიკი ივანოვის სახელზე.

პოლკ. ნ. ვ. ივანოვი.

ოფიცერთა საკითხი ჯარში.

რაზმი, რომელიც შესდგება სამხედრო შკოლისთან, უნდა იყოს სამხედრო შემადგენლობის, რომ სამხედრო შკოლის მოსწავლეებმა იქონიონ სრული წარმოდგენა ისეთ რაზმზე, რომელთანაც მათ საქმე ექნებათ ბრძოლის ველზე. სამხედრო შკოლის მოსწავლეთა სამწკრივო მომზადების საკითხის შესახებ რომ დავასრულოთ, უნდა განვსაზღვროთ კიდევ საათები, რომელიც ამ საგნის შესწავლას უნდა მოხმარდეს. ზევით ჩვენ ვსთქვით, რომ სამხედრო პედაგოგიკის შესასწავლათ საქაროა კვირაში ორი საათი; შკოლაში სამწკრივო და სხვა წესდების შესასწავლათ (საველე სამსახურის წესდების გარდა) საქარო იქნება კვირაში ორი საათი. ამ გვარათ სამწკრივო მომზადების თეორიას კვირაში უნდა მიეცეს ოთხი საათი, სულ მთელი წლის განმავლობაში 40 საათს შეადგენს. რაც შეეხება იმ დროს, რომელიც უნდა მოხმარდეს პრაქტიკულ სამწკრივო მომზადებას, უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ შეხედულებით, რომ ყოველდღიურათ მოსწავ-



ლტებს შეუძლიათ ყველა სამაცადინოზე დახარჯონ არა უმეტეს 8 საათისა. აქედან უნდა გამოვრიცხოთ 5 საკლასო გაკვეთილი და დაგვრჩება 3 საათი, რომელიც სამწვერივო მაცადინობას უნდა მოხმარდეს. ამ დროის განაწილება კი შკოლის შინაური საქმეა.

სამხედრო მეცნიერული მომზადება. მისი საფუძველი და კურსის სივრცე.

ამ საქითხის განხილვის დროს ჩვენ პირველათ ყოველისა უნდა შევჩერდეთ იმ დეტალებზე და პრინციპებზე, რომელიც ჩვენ უნდა მივიღოთ და რომელზეც უნდა დავყვარდეთ. ჩვენ არა ერთხელ ვსთქვით, რომ სამხედრო შკოლის მიზანია ახალგაზრდათა მომზადება ოფიცრის პირველ ხარისხზე და იმ მოღვაწეობისათვის, რომელიც მან უნდა გასწიოს უმცროს სააფიცრო თანამდებობაზე, ე. ი. ათეულის, ასეულის უფროსობისათვის. გამოვდივართ რა სამხედრო შკოლის ასეთ ძირითად მიზნიდან ჩვენ გარკვევით უნდა გადავჭრათ, რომ სამხედრო მეცნიერული მომზადება სავსებით უნდა შეეფარდებოდეს ცოდნას რომელიც ზემოაღნიშნულ თანამდებობისთვის აუცილებელია.

პირველი შეხედვით მკითხველს შეიძლება მიეჩვენოს, რომ ჩვენ ფართო სამხედრო მეცნიერული განათლების წინააღმდეგი ვართ. მაგრამ ეს ასე არ არის, და მკითხველი ამას ქვეით ადვილათ დაინახავს.

სამხედრო შკოლისათვის სამხედრო მეცნიერულ მოსამზადებელ კურსის შექმნის დროს ჩვენ მხედველობაში გვაქვს მინიმუმამდე შევამოკლოთ დრო, რომელიც სამხედრო შკოლაში ახალგაზრდებმა, რომელნიც სააფიცრო წოდებას ეძებენ, უნდა დაჰყონ. მაგრამ ამით სრულიად ზარალი არ უნდა მხედვეს მათ ცოდნას. იგი სავსე უნდა იყოს აუცილებელი ცნობებით, რომელნიც საკმარისია იმ სთვის, რომ სამსახურის დროს განაგრძოს გასრულოვნება. ჩვენ იმ თვალსაზრისზე ვდგევართ, რომ სამხედრო შკოლის კურსის დასრულება ოფიცრს სამსახურში წინააღმდეგის უფლებას არ უნდა აძლევდეს, რომ ასეთი წინსვლა უნდა იყოს დამოკლებული შესაფერ გამოცდებზე, რომელიც დაამტკიცებს მის სამხედრო ცოდნის ინტერესს, სამხედრო ხელოვნებაში წრთვნას, გაუმჯობესობას და სახედრო ცოდნის პორიზონტის გამფართოვებას: ასეთ გამოცდების წესთა შესახებ ჩვენ შემდეგში ვიბახსებთ, ახლა მხოლოდ იმიტომ შევჩებთ მას, რომ ჩვენი დასკვნები უფრო დასაბუთებული ყოფილიყოს.

როგორი უნდა იყოს სამხედრო მეცნიერული სის ვადა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთი წლის განმავლობაში ინტენსიური მუშაობა საშვალეზას მოგვცემს სამხედრო შკოლიდან გამოვლუშვით სრულიად მომზადებული უნცროსი ოფიცრები. მაგრამ ამისთვის საჭიროა შკოლის კურსს თავიდან მოვაშოროთ ის ზედმეტი ბარგი, რომელიც ძველათ დილეტანტ ოფიცრებს იძლეოდა. ჩვენ კი იმისკენ უნდა ვისწრაფოდეთ, რომ ჩვენმა სამხედრო შკოლამ მოგვიზადოს თავისი საქმის ოფიცერ-ტენიკოსები. ამიტომაც ყველაფერი ის, რაც არ ეხება ამ პროგრამას, რომელიც აუცილებელია ოფიცერ-ტენიკოსის მოსამზადებლათ, არ უნდა შედიოდეს მასში.

აღვნიშნათ ის საგნები, რომელიც უნდა ისწავლებოდეს სამხედრო შკოლაში.

აღვნიშნავთ აგრეთვე საათებს, თუ რამდენი უნდა დაეთმოს თვითეულ საგანს კვირაში.

| | |
|--|-----------|
| ტაკტიკა; | |
| თეორია | 3 საათი. |
| საკლასო პრაქტიკული მეცადინეობა | 5 საათი. |
| 2) არტილერია | 3 საათი. |
| 3) ფორტიფიკაცია | 3 " |
| 4) ტოპოგრაფია | 3 " |
| საკლასო პრაქტიკული მეცადინეობა | 2 " |
| 5) სამხედრო გეოგრაფია | 2 " |
| 6) სამხედრო აღზინისტრაცია | 1 " |
| 7) სამხედრო ჰიგიენა | 1 " |
| ამის გარდა, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ: | |
| 8) სამხედრო პედაგოგიკა | 2 " |
| 9) წესდებანი | 2 " |
| ს უ ლ | 26 საათი. |

ამ გვარად, კვირაში რჩება კიდევ თავისუფალი 4 საათი, რომელიც მშვენიერათ შეგვიძლიან სხვა და სხვა მიზნებს მოვახმაროთ, როგორც მაგალითად, მ ნდვრათ ტაკტიკურათ გასვლას, ჯარის ზამთრობით მანევრებს, სახელმწიფო წესწყობილების შესახებ ლექციებს და სხვა.

ზემოაღნიშნულ სამხედრო საგანთა რიცხვში არ მოხვდა სამხედრო ისტორია. ჩვენ ვფიქრობთ რომ სამხედრო ისტორიის, როგორც ცალკე საგნის შესწავლა საგრძობლათ დიდ დროს მოითხოვს მაგრამ ჩვენ უარს არ ვამბობთ იმაზე, რომ ცალკე სამხედრო ისტორიული ეპიზოდები, რომელიც ტაქტიკის ამა თუ იმ მდგომარეობას ნათელს ჰფენს შესწავლილი იქნეს. სამხედრო ისტორიული ეპიზოდებს მოსწავლენი გაეცნობიან ტაკტიკის კურსის შესაფერ ადგილებში.



შემდეგ წერილებში ჩვენ შევხებით თვითულ სამხედრო საგანის პროგრამას ცალ-ცალკე.

ი—ძე.

სანაინის ფრონტი სანიტარულის მხრით.

რომაელები ამბობდნენ: „თუ გინდა მშვიდობიანობა, ემზადე ომისათვისაო“. მაგრამ ეს არც ისე ადვილია. ომისათვის საჭიროა მეომრები, იარაღი, თოფ-წამალი, სურსათი, საკვები, სხვა და სხვა საველე მოწყობილებანი, სანიტარული დაწესებულებანი და სხვა. თუ ეს არაა, სახელმწიფო არ იქნება ომისთვის მომზადებული, რადგან ჯარი არ იქნება სავსებით მოწყობილი.

ქართველ-სომეხთა ომიანობის დროს, ჩვენი ჯარი იარაღით, საკვებით, ტანით, ფეხით, სხვა და სხვა საველე დაწესებულებებით თუმცა კარგათ იყო მოწყობილი, მაგრამ ვსევდით არ ითქმის მის სანიტარულ მდგომარეობაზე.

ეს იმის ბრალიც იყო, რომ მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ექმნიდით ჩვენ ბევრ ახალ ნაწილებს და სანიტარულის მხრით ესენი არ იყვნენ და ვერც იქნებოდნენ წესისამებრ მოწყობილნი. მათ არც ექიმები ჰყავდათ საკმაოთ, არც ფერშეღები, არც სანიტარები, არც ურემები ჰქონდათ საკმაოთ, არც კარვები, არც შესახვევი მასალა და არც წამლები.

სულ სხვა ნაირათ არის და უნდა იყოს რიგთან მოწყობილი პოლკის საქმე. პოლკს შეუძლია საომრათ გასვლა ან ერთად, ყველა ბათალიონებით, ან ცალკე ბათალიონით, ან როტებით. როდესაც გადის საომრად ერთეული, მას თან მისდევენ ყველა ექიმები, ფერშეღები, სანიტარები და მიაქვთ თან სანიტარული ქონებაც; როდესაც მიდის ბათალიონი, მას მისდევს ერთი ექიმი, რომელსაც მიაქვს შესაფერისი მასალა, იარაღი და თან მიჰყავს განსაზღვრული რიცხვი ფერშეღებისა და სანიტარებისა. ჩვენ ომის მოულოდნელობის გამო ნაწილათ, უფრო რაზმების მსგავსათ, ვაზნავნიდით ცალკე ბრძოლის ველზე, ექიმები ყოველთვის არ მიყვებოდნენ მათ. რაიცა შეეხება ფერშეღებს, სანიტარებს, სანიტარულ ურემებს და ქონებას—ესენი მშვიდობიანობის დროსაც ძვირათ მოგვებოგეოდნენ საკმაოთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვცდილობდით შეგვევსო ეს დანაკლისო.

მეორე მიზეზი დანაკლისის შეუესებლობისა იყო ის, რომ ნაწილებს მობილიზაცია მიმდინარეობდა სისწრაფით. სანიტარულისა კი—ნელა. 27 დეკემბრისთვის ფრონტზე გვყავდა არა ნიკლებ 7000

კაცი, ესე იგი თითქმის 2 1/2 დივიზია; ამათ უნდა ყოლოდათ დაახლოვებნი 140 ექიმი, 130 ფერშალი, 500 სანიტარი, 32 სანიტარული ურემი, 6 საწნავო შესახვევი პუნქტი, 2 უმთავრესი, 4 ლაზარეთი.

რასაკვირველია, იმ პატარა ომისათვის, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით, ამდენი სანიტარული პერსონალი და დაწესებულებანი საჭირო არ იყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენ არ გვეყოლია ერთი მესამედიც იმ რიცხვისა, რომელიც გვეკუთვნოდა შტატებით. აი მაგალითები:

1 პოლკის ბათალიონს ყავდა: 1 ექიმი, 2 ფერშალი, ჰქონდა ერთი ურემი.

3 პოლკის 9 როტას ექიმი არ ჰყოლიათ, ყავდათ 2 ფერშალი, არ ჰქონიათ წამლები, შესახვევი მასალა და სხვა.

4 პოლკის ბათალიონს ყვანდა ერთი ექიმი, 2 ფერშალი.

5 პოლკის 3 ბათალიონს ჰყავდა: 3 ექიმი, 4 ფერშალი, 3 ურემი, ჰქონდა სამყოფი შესახვევი მასალა და წამალი.

6 პოლკის 3 ბათალიონს ჰყვანდა: 2 ექიმი, 2 ფერშალი. ჰქონდა 2 ურემი, სამყოფი შესახვევი მასალა და წამალი.

2 არტლერის ბრიგადის 4 ბატარ. ჰყვანდა: 1 ექიმი, 4 ფერშალი, ჰქონდა 1 ურემი.

1 ბრიგად. 1 ბატარ.?

გაუბიცის ბატარ.—ერთი ფერშალი.

მორტირის დივიზიონს—ერთი ექიმი, 2 ფერშალი, 1 ურემი.

ცხენოსან ბატარ.—1 ექიმი, 1 ფერშალი.

1 ცხენ. პოლკს—ექიმი არ ჰყოლია, ჰყავდა ფერშალი.

2 ცხენ. პოლკს—1 ექიმი, 2 ფერშალი, 1 ურ.

ქუთაისის მფრინავ რაზმს—1 ფერშალი.

ოფიცერთა რაზმს—1 ექიმი, 2 ფერშალი, 1 ურემი და 2 მოწყ. და; ლეგიონს—2 ფერშალი.

გვარდიელეის—2 ექ. 4 ფერშალი, 3 მოწყ. და 3 ურემი.

უმთავრეს შემხვევი რაზმს—4 ექიმი, 9 ფერშალი, 17 მოხალისე დები, 100 სანიტარი, 7 ურემი.

წითელ ჯვარს—1 სტუდენტი მეხუთე კურსისა, 2 მოწყ. და.

ქალაქთა კავშირის რაზმს—3 მოწყ. და, 2 ფერშალი, 20 სანიტარი.

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ შტატამდე ბევრი რამ გვაკლდა. გვაკლდნენ განსაკუთრებით ფერშეღები, სანიტარები, ურემები, კარვები, ლაზარეთები და შემხვევი პუნქტები. ქალაქთა კავშირის, წითელი ჯვარის და უმთავრესი შემხვევი რაზმები შედარებით



კარგათ იყვნენ მოწყობილნი, მაგრამ გვიან ჩამოვიდნენ. გვიან ჩამოვიდნენ აგრეთვე პოლკების სანიტარული შტატებიც.

[დასასრული იქნება]

ექიმი ახვლედიანი.

ძველი საქართველოს დამოკიდებულება ინგლის-საფრანგეთთან.

(წარსულ ისტორიიდან) 1)

ინგლისისთვისაც მიუშართავს საქართველოს გაჭირვების დროს. ძველათაც მოიპოვებოდნენ ჩვენში წარჩინებული პირები, რომელთაც სწამდათ საქართველოს დაახლოება ინგლისთან. ერთ ასეთ პირ ვნებათ ჩვენი ისტორია პაატა ბატონიშვილს გვისახავს. პაატა ბატონიშვილმა განათლება პეტრე დიდის სამხედრო სასწავლებელში მიიღო. შემდეგ იგი საფრანგეთის უმაღლეს სამხედრო აკადემიაში სწავლობდა. პაატა ნამყოფი იყო ინგლისშიც და კარგათ იცნობდა იქაურ სახელმწიფო ვითარებას. იგი დიდი მომხრე იყო ინგლისთან კავშირისა და ამ აზრს უნერგავდა ერეკლე მეფესაც. მისი სიკვდილის შემდეგ მეფე ერეკლემ მართლაც გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯი ინგლისთან დასახლოვებლათ და მიწერ მოწერაც გამართა ინგლისის ელჩთან (სპარსეთში).

ერეკლეს ინგლისთან დაახლოვებას დიდათ შეუწყო ხელი საქართველოს იმ დროინდელ მდგომარეობამ და ერთმა სომეხმა გვართ შახრიმიანმა (იაკობ), რომელმაც შუამავლობა იკისრა ინგლის-საქართველოს შუა.

შახრიმიანს, როგორც ძლიერ მდიდარ მადრასელ ვაჭარს კავშირი ჰქონდა ინგლისის მთავრობასთან და ერეკლეს დახმარებით სურდა სომხეთის საქმეც მოეგვარებინა. ერეკლე მეფეს უნდა აღედგინა სომხეთის სამეფო და მიეღო თავის მფარველობის ქვეშ. შახრიმიანმა ინახულა ინგლისის მთავრობა და დაპირებაც მიიღო საქართველოს შესახებ. შემუშავებულ იქნა პირობა, რომელსაც საქართველო და ინგლისი სდებდნენ ურთიერთ შორის. ერეკლე მეფემ შახრიმიანს შუამდგომლობისთვის უბოძა ლორის მხარე და თავადიშვილობა და ნება დართო თავისი ყმებით ინდოეთიდან ლორს გადმოსახლებულიყო.

სამწუხაროდ, არც ამ მოლაპარაკებას ეღიროსა დამთავრება. მას ხელი შეუშალა შახრიმიანის სიკვდილმა.

მეტად საინტერესოა ის პირობები, რომელსაც

1) იხ. „რ. ჯარი“ № 8.

ინგლის-საფრანგეთი დებდნენ ურთიერთ პირობისა*): ჩვენ მოგვყავს ზოგიერთი მუხლი (ამ პირობისა*):

1) საქართველოს საქრისტიანო სამეფო უნდა გაძლიერდეს და აღორძინდეს. იგი უნდა დაუახლოვდეს ინგლისს და სხვა ევროპიულ სახელმწიფოებს. ქართველები უნდა ეცადონ, რომ ინგლისთან დაახლოვებით ისარგებლონ თვითონ და ასარგებლონ კავკასიის სხვა ერებიც.

2) ერეკლე მეფე უნდა გამოცხადდეს საქართველოს და სომხეთის მეფედ, უცხო ხელმწიფონი მას პატივს უნდა სცემდნენ, როგორც ღირსეულს მეფეს. ევროპიელებმა საქართველოს დედა ქალაქ თბილისში უნდა იყოლიონ თავიანთი ელჩები, საქართველომაც უნდა გაგზავნოს თავის მხრივ ელჩები ევროპის და აზიის სხვა და სხვა სახელმწიფო ქალაქებში.

3. საქართველოს სამეფო წესები უნდა შეიცვალოს. თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში უნდა გაკეთდეს ჯარისთვის თავშესაფარი სახლები. უნდა შეიქმნას ჯარი, უნდა დაწესდეს სამსახურის დრო, უნდა დაარსდეს სამხედრო სწავლა, შესდგეს არტილერია. ყველა ამებისთვის ინგლისიდან იგზავნება სამხედრო პირები, (ოფიცრები და სწავლულნი), რომელნიც ამზადებენ ხალხს და ჯარს. ჯარს უნდა მიეცეს რიგიანი ტანთსაცმელი და ერთნაირი იარაღი, უნდა დაარსდეს აგრეთვე ქარხნები; ხელოსნები და სხვა ტექნიკური პერსინალი ინგლისმა უნდა გამოგზავნოს საქართველოში.

4. წვრილი სათაბაგოები და სამთავროები უნდა მოისპონ. ერეკლე მეფეს გარდა სხვა მეფე არავინ უნდა იყოს საქართველოში. თავად აზნაურები ყველანი მეფეს უნდა დაუმორჩილდნენ. ტყის ყიდვა გაყიდვის უფლება უნდა მოისპოს.

5. თათრებისგან ავაზაკობა, ყაჩაღობა და კაცის კვლა უნდა მოისპოს და დამყარდეს მშვიდობიანობა. ოსმალ სპარსებთანაც მშვიდობიანი განწყობილება უნდა იქნას აღდგენილი. მათ აღეკრძალებათ ქურდულათ ომი და ნაგარდობა. მათთან დაარსდება მტკიცე და შეუწყვეელი ურთიერთობა.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ ზოგიერთი იმ მუხლთაგანი, რომელიც შედიოდა საქართველო-ინგლისის პირობაში.

მკითხველი ამ მუხლებიდან აშკარად დაინახავს, რომ ინგლისის მთავრობას მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა უზრუნველ ეყო საქართველოს სამეფო გარეშე მტერთაგან და ისე მოეწყო მისი შინაური ცხოვრებაც, როგორც ეს ევროპიულ სახელმწიფოებს შეეფერებოდა.

*) ამოკრფილია ზ. ჯ. წიგნებიდან.



ინგლისი, როგორც შიდაური სახელმწიფო ესარ-
ჩლებოდა მტრის ურდოებით გარშემორტყმულს
სუსტს საქართველოს და სკდილობდა მისი შინაუ-
რი ცხოვრების განახლებას.

ეს იყო მეთვრამეტე საუკუნეში. დღეს, როდეს-
საც საქართველომ საკუთარის ძალით შესძლო ში-
ნაური ცხოვრების გარდაქმნა, ჩვენ სრულებით არ
ვიჭვობთ, რომ ინგლისი კლიავ გაუმაგრებს მას
ზურგს და მისცემს საშუალებას უშიშრად აფერი-
ლოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების დროშა.

პოლბ. იოსავა.

ბრაზილია

(იხ. „რ. ჟარი“ № 6.)

ბრაზილიამ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მრ-
ვალი ცვლილება განიცადა შესახებ პოლიტიკურ წესწყობილე-
ბის ფორმებისა. სანამ დღევანდელ პოლიტიკურ სახეს მიიღებ-
და, იგი იყო უნიტარული სახელმწიფო. დღეს კი ფედერატიუ-
ლი წარმომადგენლობითი რესპუბლიკაა. პროვინციები გადაიქ-
ცნენ შტატებად, რომელნიც ითვლებიან ხალხის სუვერენიტე-
ტის ორგანოებად, საერთო საქმეებში გაერთიანებულნი, შინა-
ურ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებულნი არიან-
არის ერთი ფედერალური ოლქი. კერძო და საერთო უფლებრი-
კათ შეთანხმებულა.

აღმასრულებელი უფლება ეკუთვნის პრეზიდენტს, რომელ-
საც ხალხი პირდაპირ ირჩევს ოთხი წლის ვადით. ამ გვარა-
თვე ირჩევენ ვიცე-პრეზიდენტს: პრეზიდენტი უნდა იყოს არა
ნაკლებ 35 წლისა. ერთი და იმავე პრეზიდენტის მტორეთ არ-
ჩევა კონსტიტუციის ძალით შეუძლებელია. პრეზიდენტის გა-
დადგომის ან სხვა შემთხვევის დროს, მისი მოვალეობის შეს-
რულება ვიცე-პრეზიდენტის შემდეგ შეუძლიათ სენატის, პალა-
ტის და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეებს. საპრეზი-
დენტო არჩევნების შედეგს ამოწმებს და აქვეყნებს კონგრესი
(ფედერალური პარლამენტი).

პრეზიდენტი აძლევს სანქციას, ადასტურებს კანონებს, ნი-
შნავს და სცვლის მინისტრებს, აგრეთვე ფედერალურ მოხე-
ლეებს, უძღვება ჯარს, აცხადებს შემოსევის დროს ომს; ყო-
ველწლიურათ კონგრესს უგზავნის ანგარიშს, სახელმწიფოს
საერთო მდგომარეობის აღწერილობას, ეპისტოლეს, სენატის
თანხმობით ნიშნავს მოსამართლეებს და სდებს ხელშეკრულო
ბებს და სს.

მინისტრები პრეზიდენტის თანაშემწეებია. ისინი კონგრესის
სხდომებს ვერ ესწრებიან. საქმირობის დროს წერილობით მი-
მართავენ და აძლევენ პასუხს. მუშაობენ კომისიებში. ანგარიშს
თავიანთი მოღვაწეობისას აძლევენ პრეზიდენტს. ისინი პასუხის
მგებელნი არ არიან კონგრესის წინაშე. პრეზიდენტს ბრალს
დასდებს მხოლოდ წარმომადგენელთა პალატა, განსამართლება
შეუძლია სენატს და ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს.
ბრალდების აღძვრისთანავე პრეზიდენტმა უნდა დასტოვოს თა-
ვის მოვალეობის სრულება.

საკანონმდებლო უფლება ეკუთვნის ნაციონალურ (ფედერა-
ლურ) კონგრესს რესპუბლიკის პრეზიდენტის სანკციით. კონ-
გრესშია ორი პალატა. მათ ერთ დროს ირჩევენ. კანონმდებლო-
ბენ ჩვეულებრივ ცალ-ცალბე. ყოველი გადაწყვეტილებისათვის
აუცილებელია აბსოლიუტური უმრავლესობა.

პალატა სამ წლიანია. დეპუტატები ალექსანდრე მთავრობის
პირნათლათ შეასრულებენ თავის მოვალეობას. მათ არ შეუძ-
ლიათ რაიმე ვალდებულება ან ფასიანი ადგილი შილოს მთავ-
რობისადან. გამონაკლის შეადგინენ დიპლომატიური მისიის წარ-
მომადგენლები, სარდლობი და სხვა დეპუტატს არ შეიძლია
ბანკირი იყოს ან მხარობდეს ბანკის საბჭოში ან სხვა საბაჭ-
რო დაწესებულებაში, რომლისაჲც მთავრობას უჩევს მთავრო-
ბა, საზოგადოთ დიპლომატი თავისუფალი უნდა იყოს ყოველივე
სხვა ვალდებულებისადან. პალატას ხალხი ირჩევს პირდაპირ
კინტის ყრით შუაგობრივ. უძკარისობას აქვს წარმომადგენლო-
ბის უფლება. 70000 სოლზე მეტის ერთი დეპუტატი პალა-
ტას ეკუთვნის. ინკვირაციას უძღვება ფინანსიურ და სამხილო
საბითების შესახებ. აგრეთვე უფლება პრეზიდენტს და მინის-
ტრების სამართალში მოკმისა.

მეორე პალატა არის სენატი, სადაც თითოეული შტატი
აგზავნის სამ წარმომადგენილს. სასენატორო ასაკი 30 წელია.
სენატორებს 9 წლით ირჩევენ. თავით სენატი ყოველ სამ წი-
ლიწადში ახლდება სამესამედოდ. რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენ-
ტი სენატის თავმჯდომარია. რომელსაც სათანბრო ნმა აქვს.
სენატის უფლებაში შედის პრეზიდენტის და მინისტრთა გასა-
მართლება. ამ შემთხვევაში მას თავმჯდომარეობს უმაღლესი
სასამართლოს თავმჯდომარე.

საერთოთ კონგრესს ეკუთვნის სახელმწიფოებრივი ხელუხ-
ლებლობა, ომი და ზავი, ხელშეკრულობანი, ჯარის და ნაცი-
ონალური გვარდიის საქმე, ფული, ზომა, წონა და სს.
უმაღლეს ფედერალური სასამართლო შესდგება 15 კაცი-
სადან. უმაღლესი მოსამართლეების გადაყენება შეიძლება მხო-
ლოდ სამართლის განაჩენის ძალით. არის აგრეთვე გენერალუ-
რი პროკურორი.

ყოველივე წოდებრივი უპირიყვსობა გაუქმებულია. სამო-
ქალაქო თავისუფლება ფართოა ეკლესია სახელმწიფოსადან
გამოყოფილია. მაგრამ საარჩევნო პოლიტიკური უფლებებს
მოკლებულნი არიან ქალები, ღარიბნი და უსწავლილნი. არ-
ჩევენში ჯარი ვერ მიიღებს მონაწილეობას აგრეთვე არ შე-
იძლება ამოჩეულნი ან არჩეულნი იყვნენ ის სასულიერო პირ-
ნი, რომელნიც ეკუთვნიან რაიმე სასულიერო ორგანიზაციის ან
ორდენს.

კონგრესის მუშაობის შესწავლის დროს თუ საფრთხე დაი-
ბადა, დროებით მთელი ძალა-უფლება პრეზიდენტის ხელში
გადადის. სადაყო წესების გამოცხადებას კონსტიტუცია გუ-
ლისხმობს. ამ წესების დროს კონსტიტუციონური გარანტიები
შეჩერებულია.

კონსტიტუციის გადაშინდება ხდება, თუ კონგრესმა ან შტა-
ტების საკანონმდებლო კრებებმა დაადგინეს ეს.

კონსტიტუციის ძალით არ შეიძლება გადაიშინდოს სახელ-
მწიფოს ფედერალურ რესპუბლიკანური წყობილების ფორმა და
შტატების თანასწორობის პრინციპი. ამანართ ფედერალური
რესპუბლიკა ბრაზილიის სახელმწიფოებრივი წესწყობილების
მუდმივი ფორმაა.

შტატები როგორც ციციით დამოუკიდებელნი არიან შინაურ
ცხოვრებაში. მათ აქვთ საკუთარი კონსტიტუციები და პარლამ-
ენტები. მათ არ აქვთ უფლება რაიმე პოლიტიკური ხასიათის
კავშირი შეკრან სხვა სახელმწიფოებთან ან ურთიერთ შორის.
ბრაზილიის რესპუბლიკის დედაქალაქი არის რიოდეჟანეირო.



† გენერალი გიორგი ამირეჯიბი

ჩვენს დროს სიკვდილი ისეთ ჩვილებში, ისე მუდმივ მოაღონად იქცა, რომ იგი შთაბეჭდილება-საც კი ვიღარ ახდენს თითქოს, მაგრამ არიან პიროვნებანი, რომელთა დაკარგვას ამ უბედურების ხანაშიაც ვერ ურცხვდება აზროვნება. მათ რიცხვს ეკუთვნის განსვენებული გენერალი გიორგი ამირეჯიბიც.

უღვთო იყო ყოველ მხრივ მისი სიკვდილი. დაგვიკარგა ჯან-ლონით საესე ადამიანი, რომლის სახელს მოწონებით იხსენიებენ და მოიხსენიებენ ყოველი მცნობი. დაგვიკარგა მოქალაქე, რომელიც სიკოცხოვს არ ზოგად და სამშობლოსთვის; დაგვიკარგა უნიჭიერესი სამხედრო სპეციალისტი, რომლის ადგილს იგარე ადვილათ სხვა ვერ დაიჭერს. განსვენებული 1881 წელს დაიბადა. სწავლობდა ტფილისის კადეტთა კორპუსში, რომლის გათავების შემდეგ იგი პეტროგრადს გაემგზავრა. აქ მან დაასრულა კონსტანტინეს საარტილერიო სასწავლებელი, რის შემდეგ ნოვოგოროდიევისკის ციხეში იქმნა დანიშნული. აქედან იგი მალე გადმოიყვანეს ახალციხეში, მე-20 საარტილერიო ბრიგადაში. ამის შემდეგ იგი დიდი ხნით აღარ მოშორებია ამ ქალაქს. აქ გაატარა მან უმთავრესათ სამსახურის ხანა. განსიენებული იაპონიის ომშიაც იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ომის გათავების შემდეგ ისევ ახალციხეს დაბრუნდა. მსოფლიო ომის დაწყების თანავე გიორგი ამირეჯიბი ოსმალეთის ფრონტზე იქმნა ვაგზავნილი. ახალგაზდა შტაბს-კაპიტანი სახელოვნათ იბრძოდა დელი-შაბასა და სარკამიშის შიდაპოვებში, რისთვისაც მას ძველმა მთავრობამ კაპიტანის ღირსება მიანიჭა. 15 მაისს 1915 წ. იგი თავის ბრიგადით დასაფლეთის ფრონტზე იქმნა ვაგზავნილი—აქაც სახელოვანი იყო მისი ღვაწლი. ძველმა მთავრობამაც დაათვა ეს და ბოლოს პოლკოვნიკის ხარისხი უბოძა მას.

უკანასკნელი ხარისხი ე. ი. გენერლობა სამშობლოს ხელიდან მიიღო გიორგი ამირეჯიბმა. ის მიაგება მან სხვებთან ერთათ იმ ბრძოლებს, რომელნიც ჩრდილოეთიდან უშხადებდნენ საფრთხეს ჩვენს ქვეყანას. ერთი მუჟა თანა მებრძოლებით უკუ გდეს მან და თანა მოღვაწეებმა გაცილებით მრავალ რიცხოვანი ბოლშევიკური ბინდები. მაღლიერმა სამშობლომაც დაათვა მისი მხედრული ნიჭი. აფასებს დღესაც და იმიტომ გლოვობს მის უღროთ დაკარგვას.

მ კ ზ ღ ვ ა უ რ გ ი ბ ლ ი ო თ ა ქ ა
(სახელოვან ბელადებს.)

ქვესწელიდან ამოჭრილს ჯოჯოხეთურ ძალებს თვალვადუვლები ზღვა ბუდიდგან ამოგდლოთ; გამძინვარებულ ქარიშხლს ის საზარლათ აებოარგებინა და ავიღელვარებინა.

განრისხებულ ცასაც თავზარ—დამტევი ქაქა—გრგმინვა გაჰქონდა და ტალღათა აქონრილ გორებს გულ—შეზარაფი რახარხით თავს ატყდობოდა.

აფორიაქბულო—აქოთეზული ცა და დიდა—მიწა თაიგაწირვით ასკორებოდნენ და რთი მოარეს შთანთქმს უქადოდნენ. დილა—მიწა განრისხებულ ცას ტალღათა მთეს საშინეოსის ღრიანცილით ეროოა; ხოლო ჩამობრქუებული ცა ელსა—ქუხილით მებს მებსე უშენდა დიდა—მიწას და მით ლამობდა მის ჩაქცივას და გაც მტვერებას.

და ავირ, გამძინვარებული ზღვის ტალღებზე შორათ გამოჩნდა ხომალდი, აგორბული ტალღების მთებზე ის სწრაფათ აღიზადიოდა; ხან იარსქვლავავით გამოკრთოდა. ხან კი მიიმალეობოდა და აქრეოდა.

აღრიანციბული ტალღები ხომალდს ყოველ წამს ზღვის უფსკრულში შთანთქმას უქადდენ, მაგრამ ცასა და ზღვის შუა მოქციული ხომალდი კვლავ საწაულებრე წინ მიიზართებოდა.

შეუბოვარ ხომალდზე სანეტაროთ აციციმეზულიყო ბრწყინვალე მზე—ქალა, რომელიც სიყვარულისა და სხარულის სხრვებს აფქვედა.

მზე—ქალას სხრვებით გარემოცულს ხომალდს მიაქან ბდენ თავგანწირული ჩეზღვაურნი, რომლებიც ნიჩბებს გაასკვებული სიმხვრით უსვავდნენ და საზარელ განსაცდელს უშსრათ უმკლავდებოდნენ.

ხოლო მეზღვაურთ მეთაურობდა ქალაზა გამოცდილი მეზღვაური, და რის კამარიოვან თავს დასტრიალბდა ცეცხლის მფრქვევი არწივი.

მზე—ქალას სხრვით გცხვონებული, თეთრთმა—წევრ—შევერცხილი მეზღვაური ხომალდის ცხირთან საქეს გამირულათ ჩასკიდებოდა და წინ წაიდიადში გამოცდილი თვალით დაყინებითი გაიციტებოდა.

აგორეული ტალღები კვლავ ზედიზედ ელალბოდნენ ხომალდს და მესხვიო თავ ატყებოდნენ, მაგრამ მესაქე სკის გრძნული მემოხვრით რგერი და მათ და ხომალდს თივ დან ცილებდა უბედურ დაღუპვას.

და აი ასეთ საბედისწერო, საზარელ წაგებში ირგვლოვ წვედიადიდგან გამოისოდა ყვავ—ცორან—სავების გულს მომკვლელი ყრანტალი; ბნელე-



თის და ლეშის მოტრფიალენი განუწყვეტლივ თავს დასტრიალებდნენ ხომალდს და მის დალუბვას მოუთმენლათ ელოდნენ.

მაგრამ მზე—ქალას სხვიბზე ცის კამარაში ძლიერ-მ-სილათ ატრიალებული ნაცადი არწივი თავის მტრქვე თვალგზით ეკვთებოდა და იგირებდა ხან ერთი მხრიდან და ხან მეორიდან ზედ-მოსიყურობს. ვაი იმ ყვავ-ყორანის ბრალი, რომელსაც არწივი თავისი ბასრი ზრუკალიებით და გაფოლადებული ნისარტით დაეცემოდა!..

ხომალდი კოვავ ტალღათა შორის მიჰქროდა. მაგრამ ავირ... გაჯოჯოხითებულ ჩრდილოეთიდან გადშოსკია სისხლის ზოგა და სისხლის ტალღებით ხომალდსაკინ ავიქნა.

ამავი დროს ჩამოპიჭულქველ სამხრეთიდან წამოვიდა წარღმის შერიტობილი, რომელიც შეუპოვარ ხომალდს შთანთქმას უქაროდა.

ესაშინილასი და ესახარლესი წაშები იყო; ხომალდს ბევი ბეწვიზე იკდა.

უთარუოს შავი პირი დაიღო.

სახარულმა და აღბაცებამ მოიკვა ბნელეთი; ყვავ-ყორანნი საზეიმოთ აყრანტალღებუღიყვნენ.

გაშედულ და სახილოვან ხომალდს თვით ჯოჯოხითი გადუღდა წინა და ის იყო სიკვდილიც ემზარებოდა თავისი შავი ალიშის ასფრიალებლად.

მაგრამ მესაქე არ დაიბნა; არ შედრკა, არ შეშინდა,

სიკვდილ-სიცოცხლის და ყოფნა-არყოფნის შუა შოქციოთ ის კვლავ თავის გრძელ საჭეს მძლავრათ ჩაეჭიდა და ყვავ-ყორანთ თავზარი დასცა.

და მოხდა უმეგალითო სასწაული: ორ პირ-ლია შავი ჟღს რულ შორის სასიქადულო მეზრძოლთა სიგმირემ ზეწვიზე დაკიდული ხომალდი ბეწვის ხიდზე გაატარა, სამშვიდობო ნაფთსაყუდელისაკენ კვლავ მშვიდობიანის გზით გააქანა...

ს. პართენაშვილი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი .

სამხედრო სამსახური ყოველთვის დიდ-მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. არც მიწის მხენელს, არც მუშას, არც ვაჭარს, არც რომელსამე მოხელეს, მართებს თავ-დადება, სიცოცხლის შეწირვამლის. ჯარის კაცს ყოველ ჟამს წინ ესმება კითხვა: „სიკვდილი, ან სიცოცხლე, თავის ხალხის, სამშობლოს საკეთილდღეოდ. ჯარის დანიშნულებას შეადგენს საყვარელი სამშობლო ქვეყნის დაცვა გარეშე და შინაურ მტერთაგან. ვიდრე ის სასურველი დრო არ დადგება, რომ, როგორც ნათქვამია: „თხა და მგელი ერთად სძოდესო“, ჯარის დაწესებულება არ მოიშლება. რა დროს დადგება მუდმივი მშვიდობითი დრო ჩაცობრობაში, ამას დაგვანახებებს მომავალი. ჩვენ-კი ეხ-

ლა ვხედავთ ბრძოლას სიკეთისა და ბოროტ-შოროს ომის ხანა არ გაუფლია ისტორიას. იმედია კაცობრიობის შეთანხმებით, განათლების და კოლტურის გაავრცელებით და გაძლიერებით, ომი იშვიათ მოეღონად გახდობა-მაგრამ დღეს ყოველი ერი თბიზლათ უნდა იყოს მოსალოდნელო ხეთათისათვის. როგორც დაერნახეთ. მოცეკ საუკუნეში განათლებულს სახილმწითოთა შორის არცდა ისოდინი სისხლის ლერა, რომლის მავალითიც ისტორიას არ ახსოვს.

საქართველოს ხალხს და ჯარს ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩინა ევზობრობთ კავასიაში, სადაც ჯირ კილიი. სამწუხაროთ. შისაძლებელია ერთიერთმანეთზე თავდასხმა და ძლომობრობა.

რა გიარი ზნობრივი თვისებანი უნდა ამშვენებდნენ ჯარის-კაცის პიროვნებას?

„ყოფილსა შინა ალიოთ ფარი იგი სარწმუნობისა, რომლითა შიოდლოთ ყოფილთა ისართა ბოროტისათა განხორბლოთა და შრიკათ“, სწირია ახალ ათოშმაში. იესო ქრისტე ამბობს: „ყოფოსი ამისა სიყარული არაიის აქეს, რათა სული თვისი დასდვას მეგობრათა თირითათვის.“ თუ გახსოვს, ყრმა, —დავითი, მიმავალი სარწმუნობით ბრძოლაში შორდულის ქვით სძლიეს მასზედ ხელით რომავალს უზარმაზარს გოლიათს. მსაჯული გიდოინი სანასი კაციით ამარ-ხიბო მალიანირკლთა დიდ ჯარს. აი, ბერათ შისული გამოჩენილი სარდალი ქართული თორნიკი ირისთავი საბრძნეთის თხოვრით ხელ-მეორეთ შიდის სამხედრო სამსახურში სარლლად, ათავისუთლებს საბრძნეთის სპარსელების დაპარობისაგან და ისიც ურწინობა თავის მოვალეობის ასრულებას.


წისიერების დაცვას, დიკვიპონინას, ჯარისთვის ისეთი მნიშინილობა აქეს, როგორც ჰიერს ადამიანის სხეულის ცხოვრებისათვის. უდისციპლინოთ ჯარი იერც სამსახურს აასრულებს მშვიდობის დროს, ვერც ომში მკერსა სძლიეს. უწესო ჯარი მოგვაგონებს იგავს: „წირო, კიბო და ორაგული“. საპლენს პირველი მალლა მიეწყოდა. მეორე უკან. მისამი წყლისკენ, წამისათვის საპალნე იქვე დარჩა სხვის ანაბრათ.

ჯარის-კაცს, ომში ბრძოლის ვილზედ, უნდა ამშვენებდეს მამაციობა, გულოვნობა. მშიზარა მხილარი თავის თავისა და ლუბავს და საზოგადო საქმესაც წაახდინს. გამბედავს ვაე-კაცს აზრიც არ დაეგნევა და მტერსაც დაუხვდება.

შოთა როსთავილი, თვის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“, მეგობარზე ამბობს, რომ იგი მოწოდებულია ჯარის-კაცად, რომლისათვის გულოვნობა. მაეაცობა, ისეთივე თვისებაა, როგორც მუშისთვის მუშაობაო.

ნაპოლიონი. რომელმაც მთელი ეირობა დაიპყრო, მიჰმართავს თავის ჯარს, სხვათა შორის, სიტყვებით: „ყოველმა ჯარის-კაცმა აღასრულოს თავისი მოვალეობა და ყოველად შემძლებელი ღმერთი შეეწევა მას; ჯარის გამარჯვებას მოსდევს თავისუფლება, პატივი სხვა. ერთა შორის და სამშობლოს ბედნიერება.“

გარობალი (იტალიელი) ეუბნება მეომართ: „ჯარის-კაცო, მეგობარო ჩემო! ომში მოგელით მრავალ გვარი თავგადასავალი, ვისაც უყვარს მამული არ დაინდობს თავის თავს: სიკვდილი ათასჯერ სჯობია თავისუფლების დაკარგვას და დამჩაგვრელთა ხელში ჩავარდნას.“ ფრიდრიხ დიდის (გერმანია) სიტყვები: „მეგობარ-



ნო ჩემნო, ჯარის-კაცნო! აი წუთი, როდესაც უნდა გადასწყდეს ხმლით ჩვენი ბედი. თქვენ იცით, რომ მე აქა-მოდრე ვიზიარებდი თქვენს ღიაწლის და საშიშს მდგომარეობას. აი ეხლა (ა მზათა ვარ შეგწიროთ თაიი ჩიი: თქიინ (ა აბრითიი მზათა ხართ თაიი დასოთთ. წინ, წინ, ამხანაგებო! იბრძოლოთ მაშაჟაროთ თა სიხ.

პროლოგის სიტყვები: „ადამიანი, რომელიც მიდის საბრძოლო მაშაჟარო დაქაიისაოთის, უნოა ათინტიბოთის თაიისთიის არა მარტო ენერჯით და მამაცობით, არამედ კეთილ-წინაგობითაც.“

კრთავრი (პრიზინტი თა სარდალი პრანსიბოთის რესპუბლიკის) პოლოგობს პორბს: „ჯარის-კაცნო ჩინ ეცაიით ჩეჩის მაშაჟარო, თთ იგი არ ეიქნება—არა ოირს სიკოტალი. ჩინ ორი არ გამოეიწიიია, მაგრამ რაკი ის გამოეიწიიია, ჩინ მისი არ ეიქნება.“

ვაშინგრონი (შეირთბოთის შტატიბის რესპუბლიკის პრეზიდენტი) ამბობს: „ის ჯარი, რომელიც ითიკ-რობი ვენკომენები (მეტად ზრდილნი) არ არიან, არა-ფრად იარაგა“.

ინგლისილმა სარდალმა, ლორდმა მეტაინმა, სამხრეთ ათრის ომის ოსტოლოგის ჟამს, მიჰპართა ჯარებს: „ბრიტანის ჯარის კაცნო! ძლევაბოსილიბით ინგლისი მა დასარულა ომი. დამარჯება თქვეჩის სიყვარულით მამულთა, თქვეჩის ერთეულებით თიკისადმი ლეთის წინაში, თქვეჩის მამაცობით, თქვეჩის უფროს-უმცროსების ერთმანირთთან ნლობით. მაშ კვლავ, როგორც ყოველთვის, წინ უჩქველათ და უშიშრათ“.

კნობილი გამბრტას სიტყვები: „ყველამ უნდა იკადღეს, რომ, როდესაც დაიბება მოქალაქე, მაშასადამე მაშინ დაიბება ჯარის-კაციც“.

როდესაც სპარსეთის შახი ალა-მახმად-ხანი შემოესია საქართველოს, მაშინდელი ქართლ-კახეთის მეფე ირაკლი კრწანისის მინდორზე ბრძოლის წინ ეუბნება ქართველ ჯარს:

„შედავთ, ვითარის კანდიერებით შეკრებბის ჩეჩნიედ უსჯულოება! საქართველოს დღეს გადაუწყდება თავისი ბედი და უბედობა! დღეს ეჭირვება მამულს მხნეობა! დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი, ვითა თქვენგანი ერთი მხედარი: დღეს გამოჩნდება. ვინ არს ერთეული, ვის უფრო გეყვარს, ძმანო, მამული!“ (პოემიდან „ბედი ქართლისა“).

პოეტის შლ., დეკ. ტ. ივანიცკი.

ქართული

— საპასუხო წერილში, რომელიც ჩვენმა საგარეო სამინისტრომ გაუგზავნა ინგლისის სარდლობას სტამბოლში დრდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროზე გადასაცემად, აღნიშნულია ის სიხარული, რომელიც ხალხში გამოიწვია ინგლისის სიმპატიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი.

— ინგლისის მისიის უფროსმა განუცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს, რომ სოჩის ოლქში მოხალისეთა ჯარის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მტრული მოქმედება იქნება იმავე დროს მტრული ნაბიჯი ამ ჯარის იერ გადადგმული მოკავშირეთა სახელმწიფოების წინააღმდეგთა.

— შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, საქართველოში უნდა მოხდეს ყველა ექიმების აღსუსხვა 15 თებერვლამდე.

— გენ. ოენიკინის შტაბის (კნობით. მოხალისეთა ჯარს აუთოა გიორგიევისი, მინირალოიოოსი, ესენტუკი, შთა ბეშტაუ და პიატიგორსკის გარე უბნები“.

სამხირო სასამართლოში.

1918 წ. იეკიმბრის 11-ს. საზრდრო საასაციო სასამართლო იმენოა კასაციურ საჩივარს პოდპოლკოიკ იოსბ ვარდნაშვილისის, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის სამხირო სასამართლომ თამნაშაიედ იკნო. რადგან სიკაციო შიოთრაცოთა მიეყინა სამხირო გზის საიბაპო უბნის უთროს პოდპოლკოიკი კირილენკოს და რომელსაც 4 თვის (იხე გადათწყობა“.

ასეთ განაჩინზე ვარდნაშვილმა საასაციო საჩივარი შემოიტანა. ის თხოულობს განაჩინის სრულიად შეცვლას და საქმის ხელო-ახლით განხილვას. რადგან ამ საქმის განხილვის დროს ანონი არ იყო დაულოი. 1. სამხირო სასამართლოს არ ჰქონდა უთლიბა განიხილა ეს საქმე, რადგან მის, ვარდნაშვილსა და კრილენკოს შორის არავითარი სომსახურიოთ დამოკიდებულება არ ყოფილა და კირილენკოც მის უთროსად არ ითილობოთა 2. დრობითი მთავრობის დადგენილების წინააღმდეგ ნათიკ მოსამართლოთა რიკიბი იყო არა 12, არაჟედ 11. 3. სამხირო სასამართლომ ნება არ მისცა მხარეებს, ნათიკ მოსამართლოთა სათათბირო ოთახიდან დაბრუნების შემოიგ, გამოეთქვა აზრი ვარდნაშვილის შეცვლებს შესახებ.

სამხირო საასაციო სასამართლომ მოისმინა პროკურორის დასკვნა და საჩიროდ სცნო:

1. 8 14 წოხ. თანახმად კირილენკო ითვლება ვარდნაშვილის უფროსად; და უფროსის შეტრაცხუოთისთვის ვარდნაშვილი უნდა დაისაჯოს.

2. რაც შეეხება დროებითი მთავრ. დადგენილების მე-58 მუხ. დარღვევას, ამის შესახებ ადრევე უნდა ეთხოვა ბრალდებულს და მის დამკვიდრს, რომ თუ ნათიკ მოსამართლოთა რიკიბი 12 არ იქნა სხდომა უნდა გადადებულ იქნის, მაგრამ რადგან ასეთი განცხადება არ ყოფილა, 11 მოსამართლის დასწრებაც კანონიერად ითვლება.

3. მხარეების აზრის გამოთქმას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა განაჩინისთვის. ზემო აღნიშნულ მოსაზრებებით სამხირო საასაციო სასამართლომ დაადგინა: 1918 წ. აგვისტოს 17-ს განაჩინი, ვარდნაშვილის საასაციო საჩივრის გამო და დრ. მთ. დადგენ. მე-73 მუხ. დარღვევის გამო, შეცვლილია. იმავე სასამართლოს, სხვა შემადგენლობით, მიენდობა ამ საქმის განხილვა ე. ი. ნათიკ მოსამართლოთა შესახებ, დანარჩენში კი დამნაშავეს საჩივარი უყურადღებოდ რჩება.

მთავროვის მოახგა, უოველ დლიური გავითი.

(ოფიციალური და არა ოფიციალური გინყოფილებებით).

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით — 120 მ., ნახევარი წლით — 60 მ., ერთი თვით — 10 მ. ცალკე ნომერი ყველგან 50 კ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით, გაზეთზედ ხელის მოწერა მიიღება დილის 10-3 საათამდე. ბარონის ქ., № 6, ტელეფონი 1-82.


საკოლიტიკო და სალიტერატურო გავითი

„სახალხო საქმე“

დიის 1919 წლისათვის: 1 წლით 140 მან., ნახევარი წლით 75 მან., საპი თვით 40 მან., 1 თვით 15 მან. ნომერი ეღირება სოფლად და ქალაქად 80 კაპ. რკინის გზის სადგურებზე — 1 მან.

ხელის მომწერთ ვადამდე ფასი არ შეეცვლებათ რანაირადაც უნდა შეიცვალოს გაზეთის პირობები.

საფოსტო მისამართი: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, სასახლის ქ. № 6 „სახალხო საქმის“ რედაქცია. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე.



ფურცელი 2 მანეთი.